4	REVPAR**	249	237	Normal course of business
5	AHR***	372	356	Normal course of business

*Earnings before interest, tax, depreciation and amortisation ** Revenue per available rooms ** Average house rate

The analyses of key non-financial indicator are the following:

	2024	2023
Occupancy %	67.5%	66.5%

(i) *Relationship with employees.* The number of staff in the Group is in the range of 520-530. The Group has a well-structured recruitment policy and only candidates with relevant qualification, experience and skills are recruited by the Group.

(ii) *Relationship with suppliers and customers.* The Group has established strong professional relationship with customers by demonstrating customer care, loyalty and quality service.

(iii) *Relationship with tax authority.* Tax accounting system of the Group is well managed. The accounting department of the Group is staffed with employees with lasting experience regarding tax legislation, which regularly attend various tax related trainings held by top audit companies in Georgia, to be on track of changes in the tax legislation affecting the Group.

6. Detailed information on the acquisition of its own shares

In 2024 and 2023 no acquisition of own shares was made by the Group.

7. Additional explanations of amounts given in the annual financial statements

- The leading position on the market and strong financial performance of the Group is driven by several important factors:
 - *Service and customer satisfaction* – as already mentioned, the management of the Group pays sufficient attention to the qualification of employees, which are well trained professionals;
 - *Management of the Hotels* – management of the Hotels has sufficient experience of working in the industry and they are 100% involved in day-to-day business, which enables to be on track of changes in the business and stay flexible to the changes;
 - *Brand strength and reputation* – the Group has managed to maintain a strong brand name on the Georgian market, which is perceived to synonym of quality, professionalism and due care.

- Hotel rent fees are calculated as a percentage of the total revenues (26.0% and 26.0% for Tbilisi Hotel and Batumi Hotel respectively).
- For management of the Hotel operations, the Group entities annually pay management fees to Silk Hospitality LLC. Management fees are variable and determined based on operating results of the Hotel. In 2024 management fees amounted to GEL 5,563 thousand.

8. Review of the Group's credit, market, liquidity and cash flow risks and mechanisms for their management

Credit risk. The majority of the Group's sales are made on cash, before the service delivery to customer; consequently, the Group has no issues with the collection of receivables.

Liquidity risk. Liquidity risk arises from the Group's management of working capital and payment of lease fee. It is the risk that the Group will encounter difficulty in meeting its financial obligations as they fall due. The Group's approach to managing liquidity is to ensure, as far as possible, that it will always have sufficient liquidity to meet its liabilities when due, under both normal and stressed conditions, without incurring unacceptable losses or risking damage to the Group reputation.

Prudent liquidity risk management implies maintaining sufficient cash and the availability of funding through an adequate amount of committed credit facilities. The majority of the Group's current liabilities and current assets are due to/from related parties and therefore management believes that this provides the Group with sufficient flexibility with regard to the timing of payments and receipts as required for ensuring adequate liquidity in the business into the future.

Considering the nature of the business, there are no delays in collection of receivables.

9. Major risks and uncertainties, enterprise goal and policy with respect to financial risk management

The key risks and uncertainties are related to the followings:

Currency risk. Currency risk is the risk that the value of financial instruments will fluctuate due to changes in foreign exchange rates.

The Group has exposure to the effects of fluctuations in the prevailing foreign currency exchange rates on its financial position and cash flows. In respect of currency risk, Management sets limits on the level of exposure by currency and in total. The positions are monitored monthly.

Political risks. Unstable political environment could negatively impact the demand for products, revenues and profitability. The management closely monitors the development of political environment, to predict the potential development and potential threats to act correspondingly.

Guest behaviour. Lawsuits from people who are injured or damage to guestrooms can represent a big risk to the hotel business. The Hotels has internal controls in place to handle guest destruction and ensure travellers safety during their stay.

Data privacy risk. Hotel collects a lot of information about their guests (names, addresses, credit card info, etc.), which makes hotel business popular targets among cyber criminals and hackers. The Group entities use digital system to automate tasks and manage their data, which makes the potential risk of hacking the system to minimum.

Market risk. The Group takes on exposure to market risks. Market risks arise from open positions in (a) foreign currencies, (b) interest bearing assets and liabilities and (c) equity investments, all of which are exposed to general and specific market movements. Management sets limits on the value of risk that may be accepted, which is monitored on a daily basis. However, the use of this approach does not prevent losses outside of these limits in the event of more significant market movements.

Interest rate risk. The Group takes on exposure to the effects of fluctuations in the prevailing levels of market interest rates on its financial position and cash flows.



Levan Gachechiladze
Director

30 Apr 2025

გორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

იხილე ანგარიში - 047/24

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1	ჯგუფი და მისი ოპერაციები	5
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	6
3	მომზადების საფუძველი	6
4	მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და განსჯა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას	8
5	ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.....	8
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	9
7	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
8	ძირითადი საშუალებები	13
9	ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	16
10	გაცემული სესხები	16
11	მარაგები	23
12	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	24
13	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25
14	საწესდებო კაპიტალი	26
15	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	27
16	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
17	სასტუმრო მომსახურების ამონაგები	29
18	სასტუმროს საოპერაციო ხარჯები	30
19	ცვლადი ქირავნობის ხარჯი.....	31
20	ფინანსური შემოსავალი.....	31
21	ფინანსური ხარჯები.....	31
22	მოგების გადასახადი.....	32
23	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	33
24	ფინანსური რისკის მართვა	35
25	კაპიტალის მართვა	38
26	სამართლიანი ღირებულების შეფასება	38
27	მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	39

სხვა ინფორმაცია – მმართველობის ანგარიშგება –საქმიანობის მიმოხილვა 2024 წ.

ანგ აუდიტორი-საქმის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ ჯგუფის“ მესაკუთრეს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 31 დეკემბერი, 2024 მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფის საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 31 დეკემბერი, 2024 მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ახსენი აუდიტორი - თაყაი

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ახს, ახსენი - თუ/ა, 1

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტებული საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვეცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავეყრდნობოდეთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ახსნა-განმარტება - ნაყურა

- ვგეგმავთ და წარვმართავთ ჯგუფის აუდიტს რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოების ან ბიზნეს ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება ჩამოვაყალიბოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის შესრულებული აუდიტის სამუშაოს წარმართვაზე, ზედამხედველობასა და გადახედვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

30 აპრილი, 2025

თბილისი, საქართველო

ნინო ქადაგიშვილი

**ჯგუფი „ჯორჯიან პოტელ მენეჯმენტი“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკ.	2023 წლის 31 დეკ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	20,629	15,845
აქტივების გამოყენების უფლება		-	198
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	9	8,651	-
არამატერიალური აქტივები		685	696
გაცემული სესხები	10	2,152	5,532
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,117	22,271
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	2,929	2,911
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	7,165	4,901
საგადასახადო აქტივები, ნეტო		1,906	255
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	8,097	10,764
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,097	18,831
სულ აქტივები		52,214	41,102
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	14	23,648	17,875
სულ კაპიტალი		23,648	17,875
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები		-	207
საიჯარო ვალდებულებები		-	16
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	223
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები		240	-
საიჯარო ვალდებულებები		-	804
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16	28,326	22,200
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		28,566	23,004
სულ ვალდებულებები		28,566	23,227
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		52,214	41,102

გამოსაგემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 აპრილს :

ლევან გაჩეჩილაძე
დირექტორი

ლევან გაჩეჩილაძე

ჯგუფი ჯორჯიან პოტელ მენეჯმენტი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები სასტუმრო მომსახურებიდან	17	71,328	68,594
სასტუმროს საოპერაციო ხარჯები	18	(33,817)	(32,100)
ცვლადი ქირავნობის ხარჯი	7	(18,550)	(17,836)
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი		(14,540)	(12,025)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(6,054)	(4,433)
მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო		(101)	(338)
ზარალის ანარიცხის ზარალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(105)	(53)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,839)	1,809
ფინანსური შემოსავალი	20	3,223	4,273
ფინანსური ხარჯები	21	(92)	(904)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,292	5,178
მოგების გადასახადის ხარჯი		(97)	-
წლის მოგება		1,195	5,178
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,195	5,178

Handwritten signature: ანა ჯორჯიანი

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებული მოგება	სულ კაპიტალი
ათასი ლარი					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,704	12,383	13,555	33,638
წლის მოგება		-	-	5,178	5,178
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		7,704	12,383	18,733	38,816
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-	-
კაპიტალიდან გატანა		(7,704)	(12,383)	(854)	(20,941)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		-	-	17,875	17,875
წლის მოგება		-	-	1,195	1,195
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული ზარალი		-	-	1,195	1,195
გამოცხადებული დივიდენდი	13	-	-	(422)	(422)
მფლობელის კაპიტალ შენატანი	13	5,000	-	-	5,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		5,000	-	18,652	23,648

1 ჯგუფი და მისი ოპერაციები

შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 9 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404385722.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, კომპანიისა და მისი 100% შვილობილი საწარმოსთვის, შპს არგო მენეჯმენტისთვის (შემდგომში ერთობლივად მოხსენებული როგორც „ჯგუფი“).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, თბილისში მდებარე სასტუმრო Radisson Blu-ს ოპერირება (თბილისის სასტუმრო). თბილისის სასტუმრო სს- New Hotel-ის საკუთრებაშია, რომელიც არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და მას თავის მხრივ მართავს შპს „ Rezidor Hotels UK “ მართვის საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით. ახალი შეთანხმების თანახმად, Rezidor აღარ განახორციელებს სასტუმროს მართვას და მხოლოდ მარკეტინგულ მომსახურებას და შესრულების ხარისხის პერიოდულ შემოწმებას განახორციელებს.

შპს „არგო მენეჯმენტი“ არის ქართული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის 30 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „არგო მენეჯმენტის“ ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, ბათუმში მდებარე სასტუმრო „რედისონ ბლუს“ (ბათუმის სასტუმრო) ოპერირება. ბათუმის სასტუმრო ეკუთვნის შპს „მელეა ოფერათინგ კომპანის“, რომელიც არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და მას თავის მხრივ მართავს შპს „ Rezidor Hotels UK “ მართვის საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით.

2021 წლის 2 აპრილს სასტუმროს მართვის საერთაშორისო ხელშეკრულება გაფორმდა მეკავშირე მხარე შპს „სილკ ჰოსპიტალიტისთან“, რომელმაც ჩაანაცვლა შპს Rezidor Hotels UK, როგორც სასტუმროს ოპერატორი, და მისი მმართველობის საფასური შეადგენს ჯგუფის მიერ გამომუშავებული ამონაგების 1,5%-სა და საოპერაციო მოგების 5%-ს. ახალი ხელშეკრულების თანახმად, შპს Rezidor Hotels UK ჯგუფისთვის ახორციელებს მარკეტინგულ მომსახურებას და ჯგუფის შესრულების ხარისხის პერიოდულ შემოწმებას.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 96%-ს ფლობდა შპს „სილკ რიად ისტიტი“, ხოლო 4%-ს ფლობდა Silk Road Group (Malta) Limited. ჯგუფის მოსარგებლე მესაკუთრეები არიან ფიზიკური პირები, ბ-ნი გიორგი რამიშვილი და ბ-ნი იერკინ ტატიშვი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, ბ-ნი გიორგი რამიშვილი.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია ვარდების რევოლუციის მოედანი 1, 0108, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში ("ლ"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ახს. ანგარიშგება

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ პანდემიიდან გამოსვლის პროცესში დადებითი დინამიკა უჩვენა. ეს ტენდენცია აგრეთვე გამყარებული იყო გლობალური ეკონომიკური ზრდითა და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდით. თუმცა, საქართველოსა და მსოფლიოს ზოგ ბაზარზე მოქმედი მაღალი ფასები აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოში ინფლაციის ზრდას.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. მოსალოდნელია, რომ 2022 წლის თებერვალში უკრაინაში დაწყებულ ომს ექნება ყოვლისმომცველი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე, მაგალითად, საქონლის მზარდი ფასების, ნავთობის/გაზის/ნახშირის პოტენციური დეფიციტის, ბიზნესის შეფერხების და ა.შ. გამო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისათვის, ომის პირდაპირი გავლენა კომპანიის საოპერაციო შედეგებზე უმნიშვნელოა.

არსებული ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების გრძელვადიანი ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის განმარტებასთან დაკავშირებულ სმოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დამუშავებები, რომელიც მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 მენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურირებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტიციის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე.

უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტიორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ

ახს. შარვაშია - თურქია

განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმდების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არამაკონტროლებელი წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილის სახით. არამაკონტროლებელი წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი აგრეგირებული ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არამაკონტროლებელი წილის და უშუალოდ შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის სამართლიანი ღირებულების გამოქვითვით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „ხელსაყრელი შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ“).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი ბალანსის თარიღისთვის. ოპერაციების ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საქართველოს ეროვნული ბანკის წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად მიღებული სავალუტო შემოსულობა და ზარალი, აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. წლის ბოლოს არსებული განაკვეთით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი 1 = ლ 2.8068 და ევრო 1 = ლ 2.9306 (2023 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = ლ 2.6894; ევრო 1 = ლ 2.9753).

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის, ვინც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს, მიერ დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირებები მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა. - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნებში 10, 12.

მეკავშირე მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 7.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნებში 10, 12, 23.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ("SICR"). - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 24.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ჯგუფის საქმიანობაზე გავლენა.

როგორც წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, ჯგუფს საკმაოდ მაღალი ლევერიჯი აქვს, თუმცა ლიკვიდურობის კოეფიციენტები გაუმჯობესებულია. მაღალი ლევერიჯი განპირობებულია ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტის ვალდებულებების ნაშთით დაკავშირებული მხარის, სს New Hotel-ის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს, რომელიც, თავის მხრივ, არის თბილისის სასტუმროს შენობის მფლობელი. შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტმა მიიღო მხარდაჭერის წერილი მშობელი საწარმოსგან, იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი გააგრძელებს მუშაობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2024 წლის 1 იანვარიდან ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის გზით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება, განხორციელდეს ცვლადი გადასახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2023 წლის 31

Handwritten signature and date: 2024.05.27

ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2023 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშგებო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამოწვევის გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2024 წლის 25 მაისს, განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2024 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე.

აღნიშნული შესწორებების ამოქმედებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2024 წლის 15 აგვისტოს). 2024 წლის აგვისტოში, ბასს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლიადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტური სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესაძარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - შესწორებები სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7 (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს, ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). 2024 წლის 30 მაისს ბასს სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესწორებები შეიტანა სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7. შესწორებების მიზანია შემდეგი:

(ა) ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღის განმარტება, ფულის ელექტრონული გადარიცხვის სისტემით ანგარიშსწორებული ზოგიერთი ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში შემოდის ახალი გამონაკლისი.

(ბ) განმარტოს და დამატებით უხელმძღვანელოს პირებს იმის დადგენისას, თუ რამდენად აკმაყოფილებს ფინანსური აქტივი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) კრიტერიუმს.

(გ) ახალი განმარტების მოთხოვნის დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო პირობებს შეუძლია ფულად ნაკადებზე ზემოქმედება (მაგალითად, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომელთა მახასიათებლები უკავშირდება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიზნების მიღწევას; და

(დ) განმარტებების განახლება ისეთი კაპიტალის ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI).

ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებათა ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და განმარტება“ (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 18, ახალი სტანდარტი ფინანსური ანგარიშგებების წარდგენისა და განმარტების შესახებ, აქცენტით მოგება-ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. ფასს 18 სტანდარტით შემოღებული ძირითადი ახალი ცნებები ეხება შემდეგს:

- მოგება-ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;
- სავალდებულო განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებებში მოგება-ზარალის გარკვეული მაჩვენებლების საზომისათვის, რომლებიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მიღმა (ანუ მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ფინანსური მაჩვენებლები); და
- გაძლიერებულ პრინციპებს აგრეგაციისა და ღუზაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ზოგადად ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებსა და შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩაანაცვლებს სტანდარტს ბასს 1. ამ უკანასკნელში მოცემული მრავალი სხვა პრინციპი შენარჩუნებულია, შეზღუდული ცვლილებებით. ფასს 18 არ იმოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებებში ელემენტების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ შეიძლება შეცვალოს ის, რასაც კომპანია ასახავს როგორც თავის "საოპერაციო მოგებას ან ზარალს". ფასს 18 გამოიყენება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის და ასევე ვრცელდება შედარებით ინფორმაციაზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19 „შვილობილი კომპანიები საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები“ (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭომ გამოსცა ახალი ფასს ბუღალტრული სტანდარტი შვილობილი კომპანიებისთვის. ფასს 19 უფლებას აძლევს უფლებამოსილ შვილობილ კომპანიებს, გამოიყენონ ფასს ბუღალტრული სტანდარტები ნაკლები განმარტებებით. ფასს 19 სტანდარტის გამოყენება შეამცირებს შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯებს, მაგრამ შეინარჩუნებს ინფორმაციის ღირებულებას ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებისთვის. შვილობილი კომპანიები, რომლებიც იყენებენ ფასს ბუღალტრულ სტანდარტებს საკუთარი ფინანსური ანგარიშგებებისთვის, უზრუნველყოფენ ისეთი განმარტებების გაკეთებას, რომლებიც შეიძლება იყოს მათი მომხმარებლების ინფორმაციის საჭიროებების არაპროპორციული. ფასს 19 გადაწყვეტს ამ გამოწვევებს შემდეგი გზით:

- საშუალებას მისცემს შვილობილ კომპანიებს. შეინახონ ბუღალტრული ანგარიშების მხოლოდ ერთი ნაკრები - როგორც მშობელი კომპანიის, ისე მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- შეამცირებს განმარტებათა გაკეთების ვალდებულებას - ფასს 19 ნებას რთავს პირს, გააკეთოს უფრო მოკლე განმარტებები, რომლებიც უკეთ შეესაბამება მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებებს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 14 „მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები“ (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 14 საშუალებას აძლევს სტანდარტის პირველად დამწერგავ კომპანიებს განაგრძონ ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული თანხების აღიარება მათი წინა საყოველთაოდ აღიარებული ბუღალტრული პრინციპების (GAAP) მოთხოვნების შესაბამისად, როდესაც ფასს ბუღალტრულ სტანდარტებზე გადადიან. თუმცა, მათთან შედარების ხარისხის გასაძლიერებლად, ვინც ფასს სტანდარტებს უკვე იყენებს და ამგვარ თანხებს არ აღიარებს, სტანდარტი მოითხოვს, რომ ტარიფების რეგულირების ეფექტი სხვა ელემენტებისგან ცალკე იყოს წარმოდგენილი. სუბიექტი, რომელიც უკვე ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად, არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ეს სტანდარტი. სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის – ცვლილებები სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სტანდარტების საბჭოს მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ეხება ფასს 10-სა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის არსებულ შეუსაბამობას, რომელიც ეხება აქტივების გაყიდვას ან შეტანას ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილებების ძირითადი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც ტრანზაქცია მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც ტრანზაქცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ შეადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ეს აქტივები ეკუთვნის შვილობილ კომპანიას. 2015 წელს სტანდარტების საბჭომ გადაწყვიტა, ამ ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი უვადოდ გადაედო. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს ბუღალტრული სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1 სტანდარტში განიმარტა, რომ ჰეჯი უნდა შეწყდეს ფასს ბუღალტრულ სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ის არ აკმაყოფილებს ჰეჯის ბუღალტრული აღრიცხვის "კვალიფიკირების კრიტერიუმებს", და არა "პირობებს". ეს აგვარებს პოტენციურ გაურკვევლობას, რომელიც წარმოიშობა ფასს 1-ში ტერმინოლოგიასა და ფასს 9-ში ჰეჯის ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობისგან. ფასს 7 მოითხოვს განმარტებებს ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტისას მიღებული მოგების ან ზარალის შესახებ, თუ ამ აქტივებში სუბიექტი მუდმივად მონაწილეობს, მათ შორის ინფორმაციას იმის შესახებ, მოიცავდა თუ არა სამართლიანი ღირებულების შეფასება "მნიშვნელოვან არაპირდაპირ ხილულ მონაცემებს". ამ ასალმა ფრაზამ ჩაანაცვლა მითითება "მნიშვნელოვან მონაცემებზე, რომლებიც არ ეყრდნობოდა ბაზრის ხილულ მონაცემებს". აღნიშნული ცვლილებით ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოდის სტანდარტთან ფასს 13.. გარდა ამისა, განიმარტა სტანდარტის ფასს 7 დანერგვის სახელმძღვანელო ნიმუშები და დაემატა ტექსტი, რომ ნიმუშები არ ასახავს ფასს 7-ის მითითებული პარაგრაფებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. ფასს 16 სტანდარტის ცვლილება მიზნად ისახავს იმის განმარტებას, რომ როდესაც იჯარის მიმღები ადგენს, რომ იჯარის ვალდებულება ფასს 9 სტანდარტით შეწყდა, იგი ვალდებულია, იხელმძღვანელოს ამავე სტანდარტით და მოგება-ზარალში აღიაროს ამის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი. ეს განმარტება ვრცელდება იჯარის ვალდებულებებზე, რომლებიც შეწყდა იქნა წლიური საანგარიშო პერიოდის დაწყებიდან ან მის შემდეგ, როდესაც სუბიექტმა პირველად გამოიყენა ცვლილება. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის შეუსაბამობის მოგვარების მიზნით, სავაჭრო მოთხოვნები ასლა თავდაპირველად უნდა აღიარდეს "ფასს 15-ის გამოყენებით განსაზღვრული თანხით" და არა "ტრანზაქციის ფასით (როგორც განმარტებულია ფასს 15-ში)". ფასს 10 სტანდარტის ცვლილების მიზანია ნაკლებად კატეგორიული ენის გამოყენება ისე შემთხვევებში, როდესაც სუბიექტი არის "დე-ფაქტო აგენტი" და იმის განმარტება, რომ რომ ფასს 10 სტანდარტის პარაგრაფ B74-ში აღწერილი ურთიერთობა არის მხოლოდ ერთი მაგალითი ისეთი გარემოებისა, სადაც იმის დასადგენად, მოქმედებს თუ არა მხარე როგორც დე-ფაქტო აგენტი, განსჯის გამოყენება საჭირო. სტანდარტიდან ბასს 7-დან წაიშალა მითითებები

"ღირებულების მეთოდზე", რომელიც ამოღებულ იქნა ფასს ბუღალტრული სტანდარტებიდან 2008 წლის მაისში, როდესაც სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილება "შვილობილი, ერთობლივად კონტროლირებად ან ასოცირებულ სუბიექტში ინვესტიციის ღირებულება". ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კონტრაქტები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას - ცვლილებები სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7 (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან). სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს, უკეთ მოახდინონ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტების ფინანსური ეფექტების ანგარიშგება, რომლებიც ხშირად ითვლება ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებებად (PPAs). მოქმედი ბუღალტრული მოთხოვნები შეიძლება აღეკვადებად ვერ ასახავდეს იმას, თუ როგორ აისახება ეს კონტრაქტები კომპანიის საქმიანობაზე. იმისთვის, რომ კომპანიებმა შეძლონ ამ კონტრაქტების უკეთ ასახვა ფინანსურ ანგარიშგებებში, სტანდარტების საბჭომ მიზნობრივი ცვლილებები შეიტანა სტანდარტებში ფასს 9: ფინანსური ინსტრუმენტები, და ფასს 7: ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები. ცვლილებები მოიცავს: (ა) "ფლობა-გამოყენების" მოთხოვნების გამოყენების განმარტებას; (ბ) ჰეჯის ბუღალტრული აღრიცხვის გარკვეული მოთხოვნების შემსუბუქებას, თუ ეს კონტრაქტები გამოიყენება როგორც ჰეჯის ინსტრუმენტები; და (გ) ახალი განმარტების მოთხოვნების დამატებას, რათა ინვესტირებმა გაიგონ, თუ რა ზეგავლენა აქვს ამ კონტრაქტებს ფინანსურ საქმიანობასა და ფულად ნაკადებზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას ჯგუფი ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, მაშინ, როდესაც მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილი იყო საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებით, იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 12)	6,334	2,581
გაცემული სესხები (შენიშვნა 10)	2,152	5,754
გაუფასურების ანარიცხი გაცემული სესხებისთვის (შენიშვნა 10)	(161)	(222)
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 15)	-	(820)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები * (შენიშვნა 16)	(25,193)	(20,973)
სესხები და ნასესხები სახსრები	(240)	(207)

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

* საჯარო ვალდებულება მოიცავს ცვლად ქირის ვალდებულებას 23,681 ათასი ლარის ოდენობით (2023: 9,978 ათასი ლარი).

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024	2023
სასტუმრო მომსახურების ამონაგები *	11,350	9,843
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	11,350	9,843
მომსახურების შესყიდვა **	22,571	24,274
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	22,571	24,274
სასტუმროს ხელმძღვანელობს საფასური ****	5,563	4,705
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,563	4,705
საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტიდან მიღებული შემოსულობა	546	146
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	546	146
გაცემული სესხების მოდიფიცირების შედეგად მიღებული ზარალი	(3)	(29)
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(3)	(29)
გაცემული სესხების ნაადრავი დაფარვის შედეგად მიღებული შემოსულობა	1,055	-
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,055	-
საპროცენტო შემოსავალი	3,762	1,218
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	3,762	1,218
საპროცენტო ხარჯი ***	75	154
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	75	154
ხელფასები და სხვა სარგებელი	634	511
- მთავარი ხელმძღვანელი პირები	634	511

* სასტუმრო მომსახურების ამონაგები ძირითადად შპს „ლიმონი 2009“-ის სტუმრებისთვის მიწოდებულ მომსახურებას წარმოადგენს.

** 2024 და 2023 წლისთვის მომსახურების შესყიდვა ძირითადად მოიცავს ცვლად ქირავნობის ხარჯს 18,550 ათასი ლარის ოდენობით (2023: წელი: 17,836 ათასი ლარი), აგრეთვე საკონსულტაციო და პროფესიონალურ მომსახურებას.

*** საპროცენტო ხარჯი ძირითადად მოიცავს იჯარით აღებულ ქონებაზე საპროცენტო ხარჯს.

**** სასტუმროს მართვის საფასური გადახდილია შპს Silk Hospitality-სთვის და წარმოადგენს ჯგუფის ამონაგების 1,5%-ს და საოპერაციო მოგების 5%-ს.

8 ძირითადი საშუალებები

არსებითი საადრინცვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

ფაიფური, ვერცხლის ჭურჭელი და თეთრეული, რომელიც არ არის დასაწყობებული, ხარჯად აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სასტუმროს საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

სხვა ძირითადი საშუალებების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა
წლებში

აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები
საიჯარო გაუმჯობესება

5
7

Handwritten signature and date: 2024-01-15

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, როგორც წესი, უმნიშვნელოა და ითვლება რომ არის ნულის ტოლი. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ყოველი საბალანსო თარიღისთვის.

მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და განსჯა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) საბაზრო პირობების ცვლილებებისგან წარმოქმნილი ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე გავლენა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იქნებოდა მისი 639 ათასი ლარით ზრდა ან შემცირება 598 ათასი ლარით (2023: 250 ათასი ლარით ზრდა ან შემცირება 437 ათასი ლარით).

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და საიჯარო გაუმჯობესებების საბალანსო ღირებულების მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	ავეჯი და მოწყობილობები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	8,154	28,212	36,366
დაგროვილი ცვეთა	(5,593)	(16,023)	(21,616)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	2,561	12,189	14,750
დამატებები	2,335	3,002	5,337
ცვეთის ხარჯი	(535)	(3,707)	(4,242)
გადატანა - თვითღირებულება *	(240)	240	-
გადატანა - დაგროვილი ცვეთა *	(620)	620	-
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	10,249	31,454	41,703
დაგროვილი ცვეთა	(6,748)	(19,110)	(25,858)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	3,501	12,344	15,845
დამატებები	4,501	6,144	10,645
ცვეთის ხარჯი	(1131)	(4,730)	(5,861)
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	14,750	37,598	52,348
დაგროვილი ცვეთა	(7,879)	(23,840)	(31,719)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	6,871	13,758	20,629

კომპანიის ძირითად საშუალებებში შედის სრულად ცვეთადარიცხული აღჭურვილობა და იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება სულ 14,732 ათასი ლარის ღირებულებით (2023: 13,119 ათასი ლარი).

მხრე შევსო - ნიკოლა

9 ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები

არსებითი სადრიცხო პოლიტიკა

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც, თავდაპირველი აღიარებისას, თვითონ ითვლება გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის მას შემდეგ, რაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და სავარაუდო ხდება, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება, როდესაც ხდება მათთან დაკავშირებული მომსახურებების მიღება. თუ არსებობს იმის ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ აქტივებს, საქონელს ან მომსახურებას ჯგუფი ვერ მიიღებს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესატყვისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში.

ათასი ქართული ლარი	2024	2023
ქონების მშენებლობაზე გადახდილი ავანსები	8,651	-
სულ ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	8,651	-

მოძრაობა კაპიტალურ ხარჯებში გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

ათასი ქართული ლარი	ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	-	-
დამატებები	9,044	9,044
აღიარების გაუქმება შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღებისას	(393)	(393)
სულ გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბერს	8,651	8,651

10 გაცემული სესხები

არსებითი სადრიცხო პოლიტიკა. ჯგუფი გაცემულ სესხებს ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებს ანიჭებს. გაცემული სესხები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რაც კორექტირდება ოპერაციის ხარჯებისთვის. ჯგუფი იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკას, რათა განისაზღვროს დაკავშირებული მხარეებისთვის იმ სესხების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ ივაჭრება აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების გარეშე.

გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი საპროგნოზო საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გაცემული სესხებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით. ჯგუფი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

გაცემული სესხები, რომლებიც არ არის გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1 ეტაპზე. 1-ლ ეტაპზე არსებულ გაცემულ სესხებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასებული აქვთ იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც გამოწვეულია მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან სახელმწიფო დაფარვის ვადამდე შესაძლო დეფოლტის მოვლენებით, უფრო ხანმოკლე პერიოდის მიხედვით („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის

რეს. ანგარიშ-ბუჯეტი

მნიშვნელოვანი ზრდის არსებობას ("SICR") თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხი გადავა მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოხდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე, მაგრამ მოსალოდნელი გადახდილი ავანსების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი ანსაზღვრავს, რომ სესხი კრედიტ-გაუფასურებულია, სესხი გადავა მე-3 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ჯგუფი თვლის, რომ გაცემულ სესხებს აღენიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, როდესაც ისინი ვადაგადაცილებულია 30 დღით. იმის შეფასება, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსავლენად გამოყენებული კრიტერიუმები ექვემდებარება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მონიტორინგს და პერიოდულად განხილვას მიზანშეწონილობის მიზნით.

ჯგუფი გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს იყენებს, რაც ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებში ცვლილებებს, ჯგუფის მიერ გამოყენებული ოთხი კომპონენტის საფუძველზე: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის, ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- მსესხებლის სახელშეკრულებო გადახდები 30 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული;
- მსესხებელი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული გადახდის არმოსალოდნელობის კრიტერიუმებს:
 - მსესხებელი გარდაიცვალა
 - მსესხებელი გადახდისუნაროა;
 - მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი გაკოტრდება.

10 გაცემული სესხები (გაგრძელება)

დეფოლტის რისკი განისაზღვრება გადახდის მოსალოდნელი პროფილის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება პროდუქტის ტიპის მიხედვით. დეფოლტის რისკი ემყარება მსესხებლის გადასახდელ სახელმძღვანელო დაფარვებს 12 თვის ან არსებობის მანძილზე პერიოდის განმავლობაში, პროდუქტების ამორტიზაციისა და სესხებისთვის ერთდროული დაფარვით. ეს ასევე დაკორექტირდება მსესხებლის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოსალოდნელი ზედმეტად გადახდისთვის. აღრუული დაფარვის ან რეფინანსირების დაშვებები ასევე შედის გაანგარიშებაში. რეკოლვური პროდუქტებისთვის, დეფოლტის რისკი პროგნოზირებულია მიმდინარე დამტკიცებულ ბალანსზე "საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის" დამატებით, რომელიც ითვალისწინებს დარჩენილი ლიმიტის მოსალოდნელ ათვისებას დეფოლტის დროისთვის. ეს დაშვებები განსხვავდება პროდუქტის ტიპის, მიმდინარე ლიმიტის გამოყენებისა და მსესხებლისთვის სპეციფიკური სხვა ქცევითი მახასიათებლების მიხედვით.

დეფოლტის ალბათობის ორი ტიპი გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად: 12-თვიანი და არსებობის მანძილზე. 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის შეფასება ეფუძნება უახლეს ხელმისაწვდომ ისტორიული დეფოლტის მონაცემებს და კორექტირდება დასაბუთებადი საპროგნოზო ინფორმაციისთვის, საჭიროებისამებრ. არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის შეფასებულ ალბათობას და ის წარმოადგენს 12 თვიანი დეფოლტის ალბათობის ჯამს ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ჯგუფი, გაანგარიშებული დეფოლტის ალბათობებისთვის არსებობის მანძილზე, ისეთ განსხვავებულ სტატისტიკურ მიდგომებს იყენებს სეგმენტიდან და პროდუქტის ტიპიდან გამომდინარე, როგორიცაა 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის ექსტრაპოლაცია, რომელიც დაფუძნებულია მიგრაციის მატრიცებზე, ისტორიული დეფოლტის მონაცემების საფუძველზე - არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის მრუდების შემუშავება.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს კომპანიის ზარალის მოცულობის მოლოდინს დეფოლტის დადგომის შემთხვევაში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში განსხვავდება კონტრაქტის ტიპის, მოთხოვნისა და პრიორიტეტის ტიპის, ასევე უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის მიხედვით. 12 თვიანი და არსებობის მანძილზე ზარალი დეფოლტის შემთხვევაში განისაზღვრება დეფოლტის მოვლენის შემდეგ მოსალოდნელ ამოღებებზე მოქმედ ფაქტორებზე დაყრდნობით. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებისა და სცენარების საფუძველზე.

მოდელირება. ჯგუფი ზოგჯერ ხელახლა აწარმოებს მოლაპარაკებას, ან სხვაგვარად ცვლის გაცემული სესხების სახელმძღვანელო პირობებს. ჯგუფი აფასებს არის თუ არა სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: საპროგნოზო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, ვალუტის დენომინაციის ცვლილება, ახალი უზრუნველყოფა, ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვნად აისახება აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვან გახანგრძლივებაზე, მაშინ, როდესაც მსესხებელს არ აქვს ფინანსური სირთულეები.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, უფლებები თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე იწურება და ჯგუფი წყვეტს თავდაპირველი აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს მისი სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ამოღებული თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, არსებითად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაობის არსი მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ ოპერაციას.

ახსნა შეჩვენ - მოქმედ

10 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხისა და მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ გაუფას რებული)	სულ	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ გაუფას რებული)	სულ
ათასი ლარი								
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4	218	-	222	4,859	895	-	5,754
ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
ასლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის განმავლობაში	-	-	-	-	-	-	-	-
ალიარება-შეწყვეტილი დაფარვები	(4)	-	-	(4)	(3,854)	(489)	-	(4,343)
ცვლილებები	-	18	-	18	(31)	(514)	-	(545)
დარიცხულ პროცენტში სხვა მოძრაობები	1	(76)	0	(75)	646	457	-	1,103
სულ ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის	(3)	(58)	-	(61)	(3,239)	(546)	-	(3,785)
დანახარჯზე ცვლილებები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვაზე:								
სავალუტო და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	344	-	-	344
2024 წ. 31 დეკემბერს	1	160	-	161	1,964	349	-	2,313

იხილეთ შენიშვნა - თუკ/ა

9 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხისა და მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებები 2023 წლის დასაწყისსა და ბოლოს შორის:

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ გაუფას რებული)	სულ	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ გაუფას რებული)	სულ
ათასი ლარი								
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7	1,440	-	1,447	6,091	21,600	-	27,691
ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	20	-	20	-	-	-	-
პერიოდის	-	(1,253)	-	(1,253)	-	-	-	-
განმავლობაში								
აღიარება-შეწყვეტილი	(3)	-	-	(3)	(2,663)	(11,675	-	(14,338
დაფარვები						)		)
ცვლილებები	-	11	-	11	64	(8,681)	-	(8,617)
დარიცხულ პროცენტში სხვა მოძრაობები	-	-	-	-	1,414	60	-	1,474
სულ ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის	(3)	(1,222)	-	(1,225)	(1,185)	(20,296)	-	(21,481)
დანახარჯზე								
ცვლილებები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვაზე:								
სავალუტო და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	(46)	(410)	-	(456)
2024 წ. 31 დეკემბერს	4	218	-	222	4,860	894	-	5,754

იხილეთ-თუ/ს

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები- 2024 წლის 31 დეკემბერი

საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ გაუფას რებული)	სულ	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ გაუფას რებული)	სულ
ათასი ლარი							

პერიოდის განმავლობაში აღიარებული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 24-ე შენიშვნაში. ქვემოთ მოცემულია ცხრილში ასახული ძირითადი ცვლილებების ახსნა:

- დამატებითი ანარიცხი პერიოდის განმავლობაში აღიარებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის
- დისკონტის ჩათვლის თანხა დროის გასვლის გამო, რადგან ECL შეფასებულია დღევანდელი ღირებულების საფუძველზე; და
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების სავალუტო გადაანგარიშება და სხვა ცვლილებები;

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია იმ ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო რისკის ანალიზი, რომელთა მიმართ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარებულია. ქვემოთ მოცემული სესხების საბალანსო ღირებულება ასევე წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ამ სესხებთან მიმართებით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ხარისხი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებულ ი კრედიტი)	სულ
ათასი ლარი			

დაკავშირებული

მხარეებისთვის გაცემული
სესხები

- კარგი	1,964	170	-	2,134
- დამაკმაყოფილებელი	-	179	-	179
მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,964	349	-	2,313
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(1)	(160)	-	(161)
საბალანსო ღირებულება	1,963	189	-	2,152

ახსნა

10 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ხარისხი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებულ ი კრედიტი)	სულ
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები				
- კარგი	4,859	737	-	5,596
- დამაკმაყოფილებელი	-	158	-	158
მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,859	895	-	5,754
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(4)	(218)	-	(222)
საბალანსო ღირებულება	4,855	677	-	5,532

საკრედიტო რისკის ძირითადი შკალის თითოეულ კლასს ენიჭება კრედიტუნარიანობის კონკრეტული ხარისხი:

- კარგი – ძლიერი საკრედიტო ხარისხი საშუალო მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- დამაკმაყოფილებელი – ზომიერი საკრედიტო ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით.

არცერთი სესხი არ იყო უზრუნველყოფილი ან ვადაგადაცილებული 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (2023: არცერთი).

11 მარაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საკვები და სასმელი	1,888	1,855
სასტუმროს მომსახურების მასალები	563	529
სპა მომსახურების მასალები	275	264
სხვა	203	263
სულ მარაგები	2,929	2,911

სასტუმროს საოპერაციო ხარჯებში აღიარებული მარაგების მოხმარებამ (შენიშვნა 18) წლის განმავლობაში, გამოყენებული მასალების სახით, შეადგინა 8,482 ათასი ლარი (2023: 7,988 ათასი ლარი).

იხილეთ ანგარიშ-იხილეთ

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, შემცირებული ზარალის ანარიცხით, რომელიც განსაზღვრულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება - ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას ინდივიდუალურად ახორციელებს კონტრაქტის წარსული გადახდის ნიმუშის გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, როგორიცაა მშპ-ს არამდგრადობა და უფრო მასშტაბური ეკონომიკური პირობები, ისტორიული გადახდის ქცევასთან, კლიენტების კრედიტუნარიანობასა და ინდუსტრიის სპეციფიკურ ტენდენციებთან ერთად. ინდივიდუალური შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ხელმძღვანელობის ექსპერტულ შეფასებას, რომელიც რეგულარულად მოწმდება, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებებსა და ფაქტობრივ ზარალს შორის.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნა	2,687	2,449
კაპიტალის გაზრდისთვის აქციონერისგან მისაღები მოთხოვნები	1,950	900
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(500)	(399)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4,137	2,950
გადახდილი ავანსები	3,028	1,951
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნა	7,165	4,901

ჯგუფის საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება აქტივების კლასის მიხედვით აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოძრაობა კაპიტალურ დანახარჯებზე გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულებებში იყო:

ათასი ქართული არი	გადახდილი ავანსი	სულ
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	1,951	1,951
დამატებები	28,549	28,549
აღიარება შეწყვეტილია შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღებისას	(27,472)	(27,472)
სულ გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბერს	3,028	3,028

იხილეთ შენიშვნა-თუ 25/51

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი საადრინცხო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	45	64
ვადიანი დეპოზიტები სამ თვემდე თავდაპირველი დაფარვის ვადით	-	4,303
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	8,052	6,397
სულ	8,097	10,764

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია 1 ეტაპზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრისთვის არის ნული (2023: ნული).

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც აქვთ საკრედიტო რეიტინგი „BB“ Fitch Rating-ის მიხედვით.

ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს, დენომინირებული იყო:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი	6,410	7,338
ქართული ლარი	1,678	2,919
სხვა	9	507
სულ	8,097	10,764

იხილეთ შენიშვნა - 15

14 საწესდებო კაპიტალი

არსებითი საადრიცვო პოლიტიკა

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში. ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი. დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას სააქციო კაპიტალის დარეგისტრირებულ ოდენობასა და მიღებული ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის.

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა მფლობელებისათვის 422 ათასი ლარის ოდენობით (2023: ნული ლარი).

2022 წელს დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი გაიზარდა 8,883 ათასი ლარით, საიდანაც 7,983 ათასი მიღებული იქნა 2022 წლის განმავლობაში, დარჩენილი 900 ათასი ლარი კი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი იყო.

2023 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას გაცემული ჰქონდა სესხი CFL-სთვის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) სულ 8,750 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (ძირი 5,169 ათასი აშშ დოლარი და პროცენტი 3,580 ათასი აშშ დოლარი). 2023 წლის 2 ივნისს კომპანიამ სრულად გადაიტანა თავისი გაცემული სესხი CFL-დან Silk Road Group Holdings-ზე (SRGH), რაც შემდგომში, 2023 წლის 28 ივნისს გადაეცა შპს Silk Real Estate-ს, 8,787 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (ძირი 5,169 ათასი აშშ დოლარი და პროცენტი 3,617 ათასი აშშ დოლარი).

- 2023 წლის 28 ივნისს შპს Silk Real Estate-მა გადაწყვიტა, შეემცირებინა კომპანიის კაპიტალი 20,941 ათასი ლარით, რამაც გამოიწვია კომპანიის საწესდებო კაპიტალისა და დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალის კაპიტალის ნულამდე შემცირება, ხოლო დარჩენილი 854 ათასი ლარი აღირიცხა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში, როგორც კომპანიის მფლობელთან განხორციელებული ოპერაციის ეფექტი.

2024 წელს დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი კიდევ ერთხელ გაიზარდა, ამჯერად - 5,000 ათასი აშშ დოლარით. აქედან 1,050 ათასი ლარი დაემატა დასაფარ მოთხოვნებს და ეს უკანასკნელი 900 ათასი ლარიდან 1,950 ათას ლარამდე გაიზარდა.

Handwritten signature

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები- 2024 წლის 31 დეკემბერი

15 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ჯგუფის ვალდებულებების მოძრაობის ანალიზი ყოველი წარდგენილი პერიოდისთვის. აღნიშნული ვალდებულებების მუხლებია, რომლებიც ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსური საქმიანობის ნაწილში:

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები
ფინანსური საქმიანობის ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვარს	194	1,175
ფულადი ნაკადები, გადახდილი პროცენტის გარდა	-	(308)
პროცენტის დარიცხვა	34	120
პროცენტის გადახდები	-	(92)
იჯარის მოდიფიკაციისა და აღიარების შეწყვეტის გავლენა*	-	(75)
სავალუტო ზარალი	(21)	-
ფინანსური საქმიანობის ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვარს	207	820
ფულადი ნაკადები, გადახდილი პროცენტის გარდა	-	(238)
პროცენტის დარიცხვა	33	41
პროცენტის გადახდები	-	(37)
იჯარის მოდიფიკაციისა და აღიარების შეწყვეტის გავლენა*	-	(586)
ფინანსური საქმიანობის ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბერს	240	-

ახსნა შეყვანილია - ივანე

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

არსებითი სადარიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გატარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	26,455	20,479
დარიცხული ვალდებულებები	749	828
გადასახდელი დივიდენდები	511	587
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,715	21,894
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		
მიღებული ავანსები	436	145
დარიცხული თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	175	161
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	28,326	22,200

2,064 ათასი ლარის ოდენობის (2023 წელი: 1,417 ათასი ლარი) სავაჭრო ვალდებულებები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ფულადი ფინანსური ვალდებულებების სავალუტო რისკის შემოქმედების ანალიზისთვის იხილეთ შენიშვნა 26.

17 სასტუმრო მომსახურების ამონაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს ოთახის და საკონფერენციო დარბაზის დაქირავებას, საკვებს და სასმელს და სპა მომსახურებას. შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს და ფასდათმობების გარეშე.

ამონაგები ოთახებიდან და საკონფერენციო დარბაზიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, ოთახების გაქირავებიდან მიღებული ამონაგების შემთხვევაში სტუმრების განთავსების დასრულებული დამეების რაოდენობის მიხედვით, ხოლო საკონფერენციო დარბაზის ამონაგების შემთხვევაში-საკონფერენციო დარბაზების დაქირავების პერიოდის მიხედვით. ჯგუფს აქვს სტანდარტული და სპეციალური ტარიფები ოთახისა და საკონფერენციო დარბაზის გაქირავებისთვის. სპეციალური ტარიფები შეიძლება შეთავაზებული იყოს გაყიდვებისა და ჯავშნების დეპარტამენტების მიერ სპეციალური სტუმრებისთვის, კორპორაციული კლიენტებისთვის და ჯგუფებისთვის, ან სხვა სარეკლამო აქტივობების ფარგლებში.

საკვებისა და სასმელების გაყიდვებისთვის, ამონაგების აღიარება ჩვეულებრივ ხდება მომხმარებლის მიერ პროდუქტის მიღებისას დროის გარკვეულ მომენტში, იმ ფასის შესაბამისი თანხით, რომელიც შეყვანილია საოპერაციო სისტემაში.

ამონაგები სპა და სხვა მომსახურების გაწვიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენებული მომსახურების პერიოდის საფუძველზე.

დაფინანსების კომპონენტები. ჯგუფი კორპორაციულ მომხმარებლებს სთავაზობს საკრედიტო პირობებს, მაქსიმალური 30 დღიანი ვადით. ინდივიდუალური კლიენტები ავანსად გადახდას ან ანგარიშფაქტურის ანგარიშსწორებას ახორციელებენ პროდუქტისა და მომსახურების მიღებისთანავე. შედეგად, ჯგუფი არ აკორექტირებს არც ერთი ოპერაციის ფასს ფულის დროითი ღირებულებისთვის.

ჯგუფი ამონაგებს აწარმოებს დროთა განმავლობაში და დროის გარკვეულ მომენტში პროდუქციის და მომსახურების გადაცემიდან შემდეგ ძირითად პროდუქციის ხაზებში:

ათასი ლარი	2024	2023
ამონაგები ოთახებიდან და საკონფერენციო დარბაზიდან	36,541	35,266
საკვების და სასმელის გაყიდვა	28,386	27,524
ამონაგები სპა-დან	3,199	3,016
სხვა	3,202	2,788
სულ სასტუმრო მომსახურების ამონაგები	71,328	68,594

ამონაგების აღიარების დრო შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
დროის გარკვეულ მომენტში	28,386	27,524
დროთა განმავლობაში	42,942	41,070
სულ ამონაგები	71,328	68,594

ჩვენ ავსტრიული-სერვისი

17 სასტუმრო მომსახურების ამონაგები (გაგრძელება)

სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილმდებარეობებიდან წარმოქმნილი ამონაგები შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
თბილისის სასტუმროს მომსახურების ამონაგები	47,842	49,229
ბათუმის სასტუმროს მომსახურების ამონაგები	23,486	19,365
სულ ამონაგები	71,328	68,594

18 სასტუმროს საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2024	2023
გამოყენებული მასალები	8,482	7,988
სასტუმროს მართვის საფასური*	4,553	3,862
კომუნალურები	3,136	3,103
მარაგები	2,939	2,980
პროფესიული მომსახურების საფასური	2,927	3,129
საბანკო და სხვა საკომისიო	2,455	1,996
როიალტის საფასური	2,034	1,972
რემონტი და მოვლა-შენახვა	1,547	1,334
მარკეტინგის საფასური	1,066	1,012
მედია და სარეკლამო ხარჯები	963	580
უსაფრთხოების ხარჯი	728	521
ტრანსპორტირების ხარჯი	273	219
მენარდეს საფასური	235	1,027
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	200	243
სხვა ხარჯები	2,279	2,134
სულ სასტუმროს საოპერაციო ხარჯები	33,817	32,100

* სასტუმროს ოპერაციების მართვისთვის ჯგუფი ყოველწლიურად უხდის მართვის საფასურს Rezidor Hotels U.K Limited-ს. ეს შეიცვალა 2021 წელს, მართვის საფასურს ახლა იღებს შპს Silk Hospitality და სასტუმრო Rezidor იღებს მხოლოდ როიალტის საფასურს (ოთახის შემოსავლის 5%) და მარკეტინგის მომსახურების საფასურს (ოთახის შემოსავლის 2.5%). შპს Silk Hospitality-სთვის გადასახდელი საფასური ცვალებადია და განისაზღვრება სასტუმროს საოპერაციო შედეგების მიხედვით (ამონაგების 1.5% და სასტუმროს მიერ გამოქვეყნებული საოპერაციო მოგების 5%).

პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 238 ათას ლარს (2023: 227 ათასი ლარი) - საფასური აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ახსნ ანუკო-ბიუჯეტი

19 ცვლადი ქირავნობის ხარჯი

მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და განსჯა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას

ცვლადი ქირავნობის ხარჯი. ჯგუფი იჯარით იღებს სასტუმროს შენობას. ხელშეკრულება შეიცავს როგორც საიჯარო, ასევე არასაიჯარო კომპონენტებს. ცვლადი იჯარის გადახდები აღიარებულია ხარჯად წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ზოგიერთი საკუთრების იჯარა შეიცავს ცვლად გადახდის პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია ამონაგებთან. გადახდის ცვლადი პირობები გამოიყენება სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის ფიქსირებული ხარჯების ბაზის მინიმიზაციისთვის. ცვლადი იჯარის გადასახადები, რომლებიც დამოკიდებულია ამონაგებზე, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აღგილი აქვს ამ გადახდების გამომწვევ გარემოებას.

ცვლად საიჯარო გადასახდელებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც არ შედის საიჯარო ვალდებულებებში. ცვლადი იჯარის ხარჯი 2024 წლისთვის იყო 18,550 ათასი ლარი (2023: 17,836 ათასი ლარი).

20 ფინანსური შემოსავალი

ათასი ლარი	2024	2023
წმინდა სავალუტო მოგება	217	-
შემოსულობა იჯარის ვალდებულებების მოდიფიკაციაზე	546	146
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	467	284
საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე	534	1,324
გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის აღიარებაშეწყვეტილი ანარიცხი	77	1,253
წმინდა შემოსულობა გაცემული სესხების ნაადრევი დაფარვიდან	1,055	1,266
სხვა ფინანსური შემოსულობა	327	-
ფინანსური შემოსავალი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში	3,223	4,273

21 ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2024	2023
წმინდა სავალუტო ზარალი	-	(721)
ზარალი გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარებისას	-	-
ზარალი გაცემული სესხების მოდიფიცირებისას	(17)	(29)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	(34)	(34)
საპროცენტო ხარჯი საჯარო ვალდებულებებზე	(41)	(120)
სულ ფინანსური ხარჯები, რომლებიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში	(92)	(904)

ახსნა ჯგუფი - თბილისი

22 მოგების გადასახადი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საქიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იმავე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის სამართლიანი თარიღისა და პერიოდისა, როდესაც დივიდენდის გადახდა მოხდა. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შედავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო ჩათვლებით, შედავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების შესაძლებლობის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, აღირიცხება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა, საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ახრე ახრე-აყრ/ს

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ზოგჯერ შეიძლება მიღებულ იქნას პრეტენზიები ჯგუფის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების და ორივე, შიდა და გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე, მიაჩნია, რომ პრეტენზიებთან დაკავშირებით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი ზარალი რომელიც გადააჭარბებს ანარიცხებს, რომლებიც შექმნილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებით, ოფიციალური დოკუმენტების გამოცემით და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო და ექვემდებარება მრავალგვარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მიერ შესაძლებელია შემოწმდეს სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი - უფრო დიდი ხნის მანძილზეც. ამ პირობებიდან გამომდინარე საქართველოში შეიძლება წარმოიქმნას ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

ვალდებულებები. 2019 წლის 30 იანვარს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა სს „New Hotel“, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“, შპს Argo Management, შპს Limoni Real Estate და შპს Medea Operating Company, გააფორმეს საკრედიტო ხაზის გენერალური ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან. ხელშეკრულების თანახმად, თითოეული საწარმო ხდება სოლიდარულად ვალდებული ამ საკრედიტო ხაზის გენერალური ხელშეკრულების მიხედვით გაცემული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტისთვის, იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო პირობების შესრულება იმ საწარმოს მიერ, რომელმაც თავდაპირველად მიიღო ეს კრედიტი, ვერ მოხერხდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს Medea Operating Company-ს აქვს 13,369 ათასი ლარის და 5,000 ევროს (2023: 14,071 ათასი ლარი) ოდენობის დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს New Hotel-ს აქვს 9,466 ათასი ლარის, 711 ათასი აშშ დოლარის და 5,803 ათასი ევროს ოდენობის დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი (2023: 9,963 ათასი ლარი, 752 ათასი აშშ დოლარი და 11,983 ათასი ევრო).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს Limoni Real Estate-ს არ აქვს დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი (2023: 39,361 ათასი ლარი).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს Silk Real Estate-ს გამოშვებული ჰქონდა ობლიგაციები 40,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, ორი 20,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ტრანშით. პირველი ტრანში გამოიცა 2023 წლის აპრილში სამი წლით წლიური 9.00% (ბრუტო) კუპონით. მეორე ტრანში გაიცა გამოვიდა წლის სექტემბერში წლიური 9.25% კუპონით. 2024 წლის აგვისტოში შპს Silk Real Estate-მა გამოუშვა 7,000 ათასი ევროს ოდენობის ტრანში, ერთი წლით, წლიური 7% კუპონით. კომპანია არის შპს Silk Real Estate-ის დავალიანების გარანტორი.

გარანტირებული სესხებითა და მშობელი საწარმოს ობლიგაციების ვალდებულებებით დაკავშირებული მხარეების საკრედიტო ხარისხის ინფორმაციის შეფასებისას, როგორიცაა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, ხელმძღვანელობა თვლის, რომ

იხსნა ანგარიშგება - 2024 წლის 31 დეკემბერი

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები და კომპანიის 100%-იანი წილი დაგირავებული იყო როგორც უზრუნველყოფა სს თიბისი ბანკიდან ნასესხები სახსრებისთვის.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა სახელმძღვანელო კაპიტალური ხარჯების ვალდებულება ძირითად საშუალებებთან ან არამატერიალურ აქტივებთან მიმართებით (2023: ნული).

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებებზე, კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე მომავალი ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მსგ. შივკო - ნიკო

24 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან (საკრედიტო საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის ზემოქმედება წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საკრედიტო პირობებით მომსახურების გაყიდვის შედეგად და კონტრაქტებთან სხვა ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებისა და დროის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული კოეფიციენტებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის პარტნიორებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების მონიტორინგი ხორციელდება და ექვემდებარება პერიოდულად გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაანალიზდება და მტკიცდება. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მონიტორინგის მიზნით, რეგულარული ანგარიშები მზადდება სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კლიენტის ფინანსურ მაჩვენებლებზე. კრედიტუნარიანობის გაუარესებული მაჩვენებლის მქონე კლიენტებთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება ეცნობება და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაქტების შესრულების შედეგებს და აკვირდება ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას. ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს და საკრედიტო რისკის კონცენტრაციას შენიშვნებში განმარტავს ისეთი მოხსენებების მოპოვების საფუძველზე, სადაც ჩამოთვლილია კონტრაქტების რისკებისადმი დაქვემდებარება, რომელთა აგრეგირებული ნაშთები აღემატება ჯგუფის წმინდა აქტივების 10%-ს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. 2024 წლის 31 დეკემბერს ჯგუფს არ ჰყავდა კონტრაქტები (2023 წლის 31 დეკემბერი: არცერთი) აგრეგირებული მოთხოვნების ნაშთებით, რომელიც აღემატება ჯგუფის წმინდა აქტივების 10%-ს.

გაცემული სესხები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰყავდა კონტრაქტები (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი დაკავშირებული მხარე), რომელთანაც გაცემული სესხების ნაშთი კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ს აღემატება. ნაშთების ჯამური მოცულობა იყო 2,152 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 5,532 ათასი ლარი) ან გაცემული სესხების მთლიანი თანხის 99% (2023 წლის 31 დეკემბერი: 88%).

ჯგუფის საბანკო დეპოზიტები განთავსებულია მხოლოდ ორ ბანკში (2021 წლის 31 დეკემბერი: ორი ბანკი), რითაც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის შეზღუდულ კონცენტრაციას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება.

ახსნა ახსნა - თუ/სა

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის.

ჯგუფი ECL-ის შესაფასებლად ორ მდგომარეობაში იყენებს: (i) სავაჭრო მოთხოვნების ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასება (შენიშვნა 12); (ii) გაცემული სესხებისთვის (შენიშვნა 10) ხელმძღვანელობა იყენებს პორტფელის საფუძველზე შეფასებას.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ ინვესტიციებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მდგომარეობის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. ჯგუფი ექვემდებარება გავრცელებული ვალუტის კურსის რყევების ზემოქმედებას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში ადგენს რისკის ზღვრულ დონეს. პოზიციები მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საბალანსო თარიღისთვის:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ათასი ლარი						
ქართული ლარი	9,650	(30,227)	(20,578)	7,471	(21,700)	(14,229)
აშშ დოლარი	9,036	(1,228)	7,808	12,160	(998)	11,162
ევრო	122	(38)	84	316	(472)	(156)
სულ	18,808	(31,494)	(12,686)	19,947	(23,170)	(3,223)

ზემოთხსენებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ ინვესტიციები კაპიტალში და არაფულად აქტივებში სავალუტო რისკის არსებით ზრდას არ გამოიწვევს.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს კაპიტალისა და მოგების ან ზარალის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების შესაძლო ცვალებადობის მიმართ, რომლებიც გამოყენებულია საბალანსო თარიღისთვის ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან დაკავშირებით, ყველა სხვა ცვლადების უცვლელად დარჩენის შემთხვევაში:

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ათასი ლარი		
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	781	1,116
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(781)	(1,116)

რისკისადმი დაქვემდებარება გამოთვლილია მხოლოდ ჯგუფის შესაბამისი საწარმოს სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ნაშთებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხა საბალანსო დირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის სახელმეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

Handwritten signature: ანა აბუქოშვილი

ჯგუფი ჯორჯიან პოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

ათასი ლარი	მოთხოვნა 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	18,262	-	-	2,152	20,414
სულ ფინანსური	(31,565)	-	-	-	(31,565)
ვალდებულებები					
წმინდა საპროცენტო	(13,303)	-	-	2,152	(11,151)
მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბერს					
2023 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	15,665	-	-	5,532	21,197
სულ ფინანსური	(22,509)	(512)	(207)	-	(23,228)
ვალდებულებები					
წმინდა საპროცენტო	(6,844)	(512)	(207)	5,532	(2,031)
მგრძნობელობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბერს					

ლიკვიდობის რისკი. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ არის ის, რომ უზრუნველყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა თავისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ვადის დადგომისას, როგორც ნორმალურ, ისე დაძაბულ პირობებში, მიუღებელი ზარალის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკრედიტო საშუალებების ადეკვატური ოდენობის მეშვეობით. ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებებისა და მოკლევადიანი აქტივების უმეტესი ნაწილი განპირობებულია დაკავშირებული მხარეების მიერ და ამიტომ ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს უზრუნველყოფს ჯგუფის საკმარის მოქნილობას გადახდებისა და მიღებული ფულადი სახსრების ვადებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა სამომავლოდ ბიზნესის ადეკვატური ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	შენიშვნა	მოთხოვნა 1 წლამდე	1-2 წელი	2-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური						
ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა	16	31,204	-	-	-	31,204
ვალდებულება						
სესხები და ნასესხები		240	-	-	-	240
სახსრები						
საიჯარო		-	-	-	-	-
ვალდებულებები						
დაკავშირებული						
მხარეების						
გარანტირებული						
ნასესხები სახსრები		-	-	-	56,491	56,491

Handwritten signature: ანა შარაშენიძე

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები- 2024 წლის 31 დეკემბერი

მშობლის ობლიგაციების					
ვალდებულებები	21,950	-	112,272	-	134,222
სულ სამომავლო	53,394	-	112,272	56,491	222,157
გადახდები					

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	შენიშვნა	მოთხოვნა 1 წლამდე	1-2 წელი	2-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური						
ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა		22,143	-	-	-	22,389
ვალდებულება	6	-	-	207	-	206
სესხები და ნასესხები		-	-	-	-	-
სახსრები		-	-	-	-	-
საიჯარო		308	512	-	-	820
ვალდებულებები						
დაკავშირებული						
მხარეების						
გარანტირებული						
ნასესხები სახსრები		-	-	-	61,709	61,709
მშობლის ობლიგაციების						
ვალდებულებები		-	-	103,500	-	103,500
სულ სამომავლო		22,451	512	103,707	61,709	188,624
გადახდები						

25 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მესაკუთრეებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, ჯგუფმა, შეიძლება შეცვალოს მესაკუთრეებისთვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება მესაკუთრეს დაუბრუნოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა იყო 22,484 ათასი ლარი (2023 : 17,875 ათასი ლარი).

26 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება განლაკთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადი ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

იხილეთ შენიშვნა-თავი 15

ჯგუფი ჯორჯიან პოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები- 2024 წლის 31 დეკემბერი

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. იმ აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბ. ღირ-ება	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბ. ღირ-ება
აქტივები								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45	8,052	-	8,097	64	10,700	-	10,764
- გაცემული სესხები	-	2,152	-	2,152	-	5,532	-	5,532
- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	6,489	-	6,489	-	3,651	-	3,651
სულ ფინანსური აქტივები	45	16,693	-	16,738	64	19,883	-	19,947
ვალდებულებები								
- ნასესხები სახსრები	-	240	-	240	-	207	-	207
- სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	31,253	-	31,253	-	22,186	-	22,186
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	31,493	-	31,493	-	22,393	-	22,393

27 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2024 წლის 31 დეკემბრიდან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე რაიმე ისეთ მოვლენას, რაც შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.

ახსნა ახსნა-თქმის

შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“
მმართველობის ანგარიში
საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა 2024

1. პირის ბიზნესის განვითარება, შესრულება და მდგომარეობა

შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 9 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, თბილისში მდებარე სასტუმრო Radisson Blu-ს (თბილისის სასტუმრო) ოპერირება. 2021 წლის 2 აპრილს სასტუმროს მართვის საერთაშორისო ხელშეკრულება გაფორმდა შპს Silk Hospitality-სთან, დაკავშირებულ მხარესთან, რომელმაც შეცვალა შპს Rezidor Hotels UK, როგორც სასტუმროს ოპერატორი, საკომისიოებით, რომელიც შედგება კომპანიის მიერ გამომუშავებული ამონაგების 1,5%-ისა და საოპერაციო მოგების 5%-ისგან. ახალი ხელშეკრულების თანახმად, შპს Rezidor Hotels UK კომპანიისთვის ახორციელებს მარკეტინგულ მომსახურებას და შესრულების ხარისხის პერიოდულ შემოწმებას.

„ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტის“ 100%-იანი შვილობილი საწარმო, შპს „არგო მენეჯმენტი“ (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“), დაარსდა 2010 წლის 30 ნოემბერს საქართველოში. 2011 წელს შპს „არგო მენეჯმენტმა“ გააფორმა გრძელვადიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება შპს „Medea Operating Company“-თან, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან, იჯარით აიღო სასტუმროს შენობა, რომელიც მდებარეობს ბათუმში, საქართველოში და გააფორმა მართვის ხელშეკრულება Rezidor Hotels U.K. Limited-თან, რომელიც პასუხისმგებელია Radisson Blu Batumi-ს (ბათუმის სასტუმრო) ბრენდის ქვეშ სასტუმროს ყოველდღიურ ოპერირებაზე. სასტუმრო ფუნქციონირებს 2011 წლის ივლისიდან.

2021 წლის 27 იანვარს ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებას Rezidor Hotels U.K. Limited-თან, რომლის მიხედვითაც Rezidor აღარ იქნება პასუხისმგებელი სასტუმროს ოპერირებაზე, და მხოლოდ მარკეტინგის მომსახურებას და პერიოდულ შესრულების ხარისხის ინსპექტირებას განახორციელებს. მართვის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა დაკავშირებულ მხარესთან, შპს Silk Hospitality. ხელშეკრულების თანახმად, შპს Silk Hospitality მართავს სასტუმროს ოპერაციებს და იღებს შპს არგო მენეჯმენტის მიერ გამომუშავებული ამონაგების 1,5%-ს და საოპერაციო მოგების 5%-ს, მომსახურების საფასურის სახით.

2024 წელს ჯგუფმა დააფიქსირა 71,328 ათასი ლარის ოდენობის ამონაგები, რაც დაახლოებით 4%-ით ნაკლებია 2023 წლის 68,594 ათასი ლარის ოდენობის ამონაგებზე. საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, მთლიანი ამონაგების 51% მოდის ოთახებისა და საკონფერენციო დარბაზის გაქირავებაზე, 40% საკვებისა და სასმელების გაყიდვებზე და დარჩენილი 9% არის სხვა ამონაგები. 2024 ფინანსური წლის მოგება მიაღწია 1,195 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლისთვის - 5,178 ათასი ლარი.

2. ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმები

2024 წელს ჯგუფი ძირითადად ორიენტირებული იქნება გაყიდვების გაზრდაზე და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა, განვითარების სხვა კონკრეტული გეგმები შემუშავებული არ არის.

3. ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2024 და 2023 წლებში ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე სახის კვლევისა და განვითარების საქმიანობაში.

4. ინფორმაცია პირის ფილიალების შესახებ

ჯგუფს არ აქვს ფილიალები.

„არგო მენეჯმენტი“

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

	ლარი 000'	2024	2023	პროგრესის განმარტება
1	ამონაგები	71,328	68,594	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
2	შედგები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,839)	1,809	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
3	საოპერაციო მოგება %	-2.6%	2.6%	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
4	REVPAR**	249	237	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
5	AHR***	372	356	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა

* ამონაგები პროცენტულად, გადასახადად, ცვლადად და ამორტიზაციად

** ნომრის საშუალო ღირებულება

*** ოთახის საშუალო განაკვეთი

მთავარი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი:

	2024	2023
დაკავებულიობის %	67.5%	66.5%

- (i) თანამშრომლებთან ურთიერთობა. ჯგუფში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა 520-530-ის ფარგლებშია. ჯგუფს აქვს კარგად სტრუქტურირებული დაქირავების პოლიტიკა და ქირაობს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების და უნარების მქონე კანდიდატებს.
- (ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. ჯგუფმა ძლიერი პროფესიული ურთიერთობა დაამყარა მომხმარებლებთან მათზე ზრუნვის, ერთგულების და ხარისხიანი მომსახურების დემონსტრირების გზით.
- (iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. ჯგუფის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება დაკომპლექტებულია საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ხანგრძლივი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან გადასახადებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტრენინგებს, რომლებსაც საქართველოში ატარებენ უმაღლესი კატეგორიის აუდიტორული კომპანიები, რათა თვალყური ადევნონ საგადასახადო კანონმდებლობას, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფზე.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 და 2023 წლებში ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენას ადგილი არ ჰქონია.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

- ჯგუფის წამყვანი პოზიცია ბაზარზე და ძლიერი ფინანსური მაჩვენებლები განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით:
 - მომსახურება და მომხმარებელთა კმაყოფილება – როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფის ხელმძღვანელობა საკმარის ყურადღებას უთმობს თანამშრომლების კვალიფიკაციას, რომლებიც კარგად მომზადებული პროფესიონალები არიან;
 - თბილისის სასტუმროს მართვა - სასტუმროს მმართველობას ინდუსტრიაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება აქვს და ისინი 100%-ით არიან ჩართულნი ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც იძლევა ბიზნესში ცვლილებების თვალყურის მიდევნების და მათ მიმართ მოქნილობის საშუალებას;
 - ბრენდის სიძლიერე და რეპუტაცია – ჯგუფმა მოახერხა ქართულ ბაზარზე ძლიერი ბრენდის სახელის შენარჩუნება, რომელიც ადიქმება ხარისხის, პროფესიონალიზმისა და სათანადო ზრუნვის სინონიმად.

მანუა ჯგუფი - თბილისი

- სასტუმროს ქირის საფასური გამოითვლება როგორც იმ მთლიანი ამონაგების წილი (26% და 26% თბილისის სასტუმროსა და ბათუმის სასტუმროსათვის, შესაბამისად)
- სასტუმროს ოპერაციების მართვის მიზნით ჯგუფში შემავალი პირები ყოველწლიურად უხდიან მართვის საფასურს შპს „სილქ ჰოსპიტალიტის“. მართვის საფასური ცვლადია და დგინდება სასტუმროს საოპერაციო შედეგების მიხედვით. 2024 წელს მართვის საფასურმა შეადგინა 5,563 ათასი ლარი.

8. პირის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი. ჯგუფის გაყიდვების უმეტესი ნაწილი ხორციელდება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების სახით, მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებამდე; შესაბამისად, ჯგუფს არ აქვს მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისა და იჯარის საფასურის გადახდის შედეგად. ეს არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს შეეძლოს სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მათი ვადის დადგომისას. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ არის ის, რომ უზრუნველყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა თავისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, როგორც ნორმალურ, ისე დაძაბულ პირობებში, მიუღებელი ზარალის ან რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკრედიტო საშუალებების ადეკვატური ოდენობის მეშვეობით. ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებებისა და მოკლევადიანი აქტივების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება დაკავშირებულ მხარეებს და ამიტომ ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს უზრუნველყოფს ჯგუფის საკმარის მოქნილობას გადახდებისა და მიღებული ფულადი სახსრების ვადებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა სამომავლოდ ბიზნესის ადეკვატური ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად.

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღების პროცესში შეფერხებები არ არსებობს.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა დაკავშირებულია შემდეგთან:

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

ჯგუფი ექვემდებარება უცხოური ვალუტის გავრცელებული კურსის რყევების ზემოქმედებას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონეზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება.

პოლიტიკური რისკები. არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, ამონაგებზე და მომგებიანობაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს პოტენციური განვითარება და პოტენციური საფრთხეები, იმისათვის, რომ შესაბამისად იმოქმედოს.

სტუმრის ქცევა. სარჩელები იმ ადამიანებისგან, რომლებიც დაშავდნენ, ან დაზიანდნენ სასტუმროს ოთახებში, შეიძლება დიდ რისკს წარმოადგენდეს სასტუმროს ბიზნესისთვის. სასტუმროს გააჩნია შიდა კონტროლი, რათა გაუმკლავდეს სტუმრებისთვის ზიანის მიყენებას და უზრუნველყოს ტურისტების უსაფრთხოება მათი სასტუმროში ყოფნის განმავლობაში.

მონაცემთა კონფიდენციალურობის რისკი. სასტუმრო მათი სტუმრების შესახებ საკმაოდ დიდი რაოდენობის ინფორმაციას აგროვებს (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია და ა.შ.), რაც სასტუმროს ბიზნესს პოპულარულ სამიზნეებად აქცევს კიბერ კრიმინალებსა და ჰაკერებს შორის. ჯგუფში შემავალი პირები იყენებენ ციფრულ სისტემას ამოცანების ავტომატიზაციისა და მათი მონაცემების სამართავად, რაც ამცირებს სისტემის გატეხვის პოტენციურ რისკს.

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება დია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) პროცენტთან აქტივებთან და ვალდებულებებთან (გ) წილობრივ

ახრე ახვლე-თყულა

ინვესტიციებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი.

ლევან გაჩეჩილაძე
დირექტორი

2025 წლის 30 აპრილი

იხსნა პრეზიდენტი - ნიკოლოზ ბერიძე

სანოტარო მოქმედების
ნოტარიუსის ნომერი

N251252407



სანოტარო მოქმედების
ნოტარიუსის თარიღი

16.09.2025 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ეკატერინე გვანცელაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 23-07-87

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

24793105938525



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე:
www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდახუთი წლის თექვსმეტ სექტემბერს მე, ნოტარიუსს ეკატერინე გვანცელაძეს, ჩემს
სანოტარო ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ.
№39ა, პირველი სართული, მომმართა: თარჯიმანმა ირინე აბულაშვილი-ნიკულსკმა (პირადი N
01005000858), რომლის პირადობა ჩემთვის ცნობილია. მისი დიპლომის ასლი ინახება ჩემდამი
რწმუნებულ სანოტარო ოფისში. მან მოითხოვა თარგმანზე მისი ხელმოწერის სინამდვილის
დამოწმება სანოტარო წესით. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს
თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და
უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

I Ms. Ekaterine Gvantseladze, notary public of Tbilisi, with my notary office located in #39a I. Chavchavadze ave.,
Tbilisi, was approached by Ms. Irine Abulashvili-Nikulski (Personal N 01005000858) translator the identity of
which is familiar to me. The copy of her certificate is kept at my notary office. She requested the notary certification
of her signature of the translation. I, the notary warned her about her responsibility for an inaccurate translation.
Ms. Teona Urushadze stated that she has a good command of English and warranted the accuracy of the translation.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის
საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი
გადახდვების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება №
507) ას ორმოცდაშვიდი ლარი - მუხლი 31, დღე ოცდაექვსი ლარი ორმოცდაექვსი თეთრი- თანახმად
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 5.0 (ხუთი) ლარი ელექტრონულ რეგისტრში
რეგისტრაციისათვის - მუხლი 39, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და
საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდვების წესისა
და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება № 507).

ნოტარიუსი

ეკატერინე გვანცელაძე

Chadwick
M. J. Chadwick



[Handwritten signature]

გორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1	ჯგუფი და მისი ოპერაციები	5
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	6
3	მომზადების საფუძველი	7
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	9
5	ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	10
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	11
7	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
8	ძირითადი საშუალებები	16
9	ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	18
10	გაცემული სესხები	18
11	მარაგები	26
12	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
13	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28
14	საწესდებო კაპიტალი	29
15	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	30
16	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
17	სასტუმრო მომსახურების ამონაგები	32
18	სასტუმროს საოპერაციო ხარჯები	33
19	ცვლადი ქირავნობის ხარჯი	34
20	ფინანსური შემოსავალი	34
21	ფინანსური ხარჯები	34
22	მოგების გადასახადი	35
23	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	36
24	ფინანსური რისკის მართვა	38
25	კაპიტალის მართვა	43
26	სამართლიანი ღირებულების შეფასება	43
27	მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	44

სხვა ინფორმაცია – მმართველობის ანგარიშგება –საქმიანობის მიმოხილვა 2024 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ ჯგუფის“ მფლობელებს

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტისა“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

რა შემოწმა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას;
- ამ თარიღით დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას;
- ამ თარიღით დასრულებული წლის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის ჩათვლით.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვმოქმედებთ ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშის გაცნობას და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა მმართველობის ანგარიშსა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების

შემცველი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ მოვალენი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ჩვენ განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით, ჩვენ ვალდებული ვართ, დავიცვათ შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და შევამოწმოთ, თუ რამდენად შეიცავს მმართველობის ანგარიში ამავე კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის განმარტების მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმო) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენაა, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის

ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას მენეჯმენტის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.
- ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება ჯგუფის შიგნით არსებული ერთეულებისა თუ ბიზნეს-საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის თაობაზე, რათა მის საფუძველზე გამოვხატოთ დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენ ვაგებთ პასუხს ჯგუფის აუდიტის მართვაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. აუდიტორულ დასკვნაზე პასუხისმგებლობა გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატიყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „პრაისვოლტერჰაუსკუპერს ჯორჯიას“ სახელით (#SARAS-F-775813)
ნინო ქადაგიშვილი (#SARAS-A-506913)

2025 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

ჯგუფი „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკ.	2023 წლის 31 დეკ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	20,629	15,845
აქტივების გამოყენების უფლება		-	198
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	9	8,651	-
არამატერიალური აქტივები		685	696
გაცემული სესხები	10	2,152	5,532
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,117	22,271
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	2,929	2,911
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	7,165	4,901
საგადასახადო აქტივები, ნეტო		1,906	255
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	13	8,097	10,764
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,097	18,831
სულ აქტივები		52,214	41,102
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	14	23,648	17,875
სულ კაპიტალი		23,648	17,875
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები		-	207
საიჯარო ვალდებულებები		-	16
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	223
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები		240	-
საიჯარო ვალდებულებები		-	804
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16	28,326	22,200
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		28,566	23,004
სულ ვალდებულებები		28,566	23,227
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		52,214	41,102

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 აპრილს :

ლევან გაჩეჩილაძე
 დირექტორი

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები სასტუმრო მომსახურებიდან	17	71,328	68,594
სასტუმროს საოპერაციო ხარჯები	18	(33,817)	(32,100)
ცვლადი ქირავნობის ხარჯი	7	(18,550)	(17,836)
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი		(14,540)	(12,025)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(6,054)	(4,433)
მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო		(101)	(338)
ზარალის ანარიცხის ზარალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(105)	(53)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,839)	1,809
ფინანსური შემოსავალი	20	3,223	4,273
ფინანსური ხარჯები	21	(92)	(904)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,292	5,178
მოგების გადასახადის ხარჯი		(97)	-
წლის მოგება		1,195	5,178
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,195	5,178

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი სრულად ანაზღაურ ებული სააქციო კაპიტალი	გაუნაწილ ებული მოგება	სულ კაპიტალი
<i>ათასი ლარი</i>					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,704	12,383	13,555	33,638
წლის მოგება		-	-	5,178	5,178
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		7,704	12,383	18,733	38,816
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-	-
კაპიტალიდან გატანა		(7,704)	(12,383)	(854)	(20,941)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		-	-	17,875	17,875
წლის მოგება		-	-	1,195	1,195
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული ზარალი		-	-	1,195	1,195
გამოცხადებული დივიდენდი	13	-	-	(422)	(422)
მფლობელის კაპიტალ შენატანი	13	5,000	-	-	5,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		5,000	-	18,652	23,648

ჯგუფი ჯორჯიან პოტელ მენეჯმენტი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,292	5,178
კორექტირებები:			
ფინანსური შემოსავალი	8	6,054	4,433
ფინანსური ხარჯები	20	(3,223)	(4,273)
მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის	21	92	904
ანარიცხის ზარალი			
ფინანსური შემოსავალი		101	338
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე			
		4,316	6,580
ზრდა მარაგებში		(20)	(147)
შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,214)	1,109
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		6,264	(1,885)
(ზრდა) / შემცირება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში,		(1,651)	92
ნეტო			
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადით დაბეგვრამდე და გადახდილ პროცენტებამდე			
		7,695	5,749
მიღებული პროცენტი		845	1,502
გადახდილი მოგების გადასახადები		(97)	-
გადახდილი პროცენტი		(37)	(92)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
		8,406	7,159
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საბანკო ანგარიშებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი		156	106
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	8,9	(19,319)	(5,479)
წმინდა მოგება გაცემული სესხის ნაადრევ დაფარვაზე	10	1,055	-
გაცემული სესხის დაფარვიდან მიღებული შემოსულობა	10	3,762	2,266
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(14,346)	(3,107)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	14	(422)	-
ნასესხები სახსრების დაფარვა		-	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(238)	(308)
შენატანი კაპიტალში		3,950	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან/ (საქმიანობაში გამოყენებული)		3,290	(308)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(17)	(2,595)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	13	10,764	9,615
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	13	8,097	10,764

1 ჯგუფი და მისი ოპერაციები

შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 9 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404385722.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, კომპანიისა და მისი 100% შვილობილი საწარმოსთვის, შპს არგო მენეჯმენტისთვის (შემდგომში ერთობლივად მოხსენებული როგორც „ჯგუფი“).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, თბილისში მდებარე სასტუმრო Radisson Blu-ს ოპერირება (თბილისის სასტუმრო). თბილისის სასტუმრო სს- New Hotel-ის საკუთრებაშია, რომელიც არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და მას თავის მხრივ მართავს შპს „ Rezidor Hotels UK “ მართვის საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით. ახალი შეთანხმების თანახმად, Rezidor აღარ განახორციელებს სასტუმროს მართვას და მხოლოდ მარკეტინგულ მომსახურებას და შესრულების ხარისხის პერიოდულ შემოწმებას განახორციელებს.

შპს „არგო მენეჯმენტი“ არის ქართული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის 30 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „არგო მენეჯმენტის“ ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, ბათუმში მდებარე სასტუმრო „რედისონ ბლუს“ (ბათუმის სასტუმრო) ოპერირება. ბათუმის სასტუმრო ეკუთვნის შპს „მედეა ოფერათინგ კომპანის“, რომელიც არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და მას თავის მხრივ მართავს შპს „ Rezidor Hotels UK “ მართვის საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით.

2021 წლის 2 აპრილს სასტუმროს მართვის საერთაშორისო ხელშეკრულება გაფორმდა მეკავშირე მხარე შპს „სილკ ჰოსპიტალიტისთან“, რომელმაც ჩაანაცვლა შპს Rezidor Hotels UK, როგორც სასტუმროს ოპერატორი, და მისი მმართველობის საფასური შეადგენს ჯგუფის მიერ გამომუშავებული ამონაგების 1,5%-სა და საოპერაციო მოგების 5%-ს. ახალი ხელშეკრულების თანახმად, შპს Rezidor Hotels UK ჯგუფისთვის ახორციელებს მარკეტინგულ მომსახურებას და ჯგუფის შესრულების ხარისხის პერიოდულ შემოწმებას.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 96%-ს ფლობდა შპს „სილკ რიალ ისტიტი“, ხოლო 4%-ს ფლობდა Silk Road Group (Malta) Limited. ჯგუფის მოსარგებლე მესაკუთრეები არიან ფიზიკური პირები, ბ-ნი გიორგი რამიშვილი და ბ-ნი იერკინ ტატიშვი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, ბ-ნი გიორგი რამიშვილი.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია ვარდების რევოლუციის მოედანი 1, 0108, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში ("ლ"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ პანდემიიდან გამოსვლის პროცესში დადებითი დინამიკა უჩვენა. ეს ტენდენცია აგრეთვე გამყარებული იყო გლობალური ეკონომიკური ზრდითა და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდით. თუმცა, საქართველოსა და მსოფლიოს ზოგ ბაზარზე მოქმედი მაღალი ფასები აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოში ინფლაციის ზრდას.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. მოსალოდნელია, რომ 2022 წლის თებერვალში უკრაინაში დაწყებულ ომს ექნება ყოვლისმომცველი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე, მაგალითად, საქონლის მზარდი ფასების, ნავთობის/გაზის/ნახშირის პოტენციური დეფიციტის, ბიზნესის შეფერხების და ა.შ. გამო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისათვის, ომის პირდაპირი გავლენა კომპანიის საოპერაციო შედეგებზე უმნიშვნელოა.

არსებული ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების გრძელვადიანი ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის განმარტებასთან დაკავშირებულ სმოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 მენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურირებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე.

უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას ღე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების აკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არამაკონტროლებელი წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილის სახით. არამაკონტროლებელი წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი აგრეგირებული ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არამაკონტროლებელი წილის და უშუალოდ შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის სამართლიანი ღირებულების გამოქვითვით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „ხელსაყრელი შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ“).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი ბალანსის თარიღისთვის. ოპერაციების ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საქართველოს ეროვნული ბანკის წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად მიღებული სავალუტო შემოსულობა და ზარალი, აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. წლის ბოლოს არსებული განაკვეთით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი 1 = ლ 2.8068 და ევრო 1 = ლ 2.9306 (2023 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = ლ 2.6894; ევრო 1 = ლ 2.9753).

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის, ვინც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს, მიერ დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირებები მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა. - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნებში 10, 12.

მეკავშირე მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 7.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნებში 10, 12, 23.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ("SICR"). - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 24.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ჯგუფის საქმიანობაზე გავლენა.

როგორც წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, ჯგუფს საკმაოდ მაღალი ლევერიჯი აქვს, თუმცა ლიკვიდურობის კოეფიციენტები გაუმჯობესებულია. მაღალი ლევერიჯი განპირობებულია ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტის ვალდებულებების ნაშთით დაკავშირებული მხარის, სს New Hotel-ის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს, რომელიც, თავის მხრივ, არის თბილისის სასტუმროს შენობის მფლობელი. შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტმა მიიღო მხარდაჭერის წერილი მშობელი საწარმოსგან, იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი გააგრძელებს მუშაობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2024 წლის 1 იანვარიდან ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის გზით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება, განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისის და 2023 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2023 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2024 წლის 25 მაისს, განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2024 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე.

აღნიშნული შესწორებების ამოქმედებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2024 წლის 15 აგვისტოს). 2024 წლის აგვისტოში, ბასს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტური სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - შესწორებები სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7 (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს, ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). 2024 წლის 30 მაისს ბასს სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესწორებები შეიტანა სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7. შესწორებების მიზანია შემდეგი:

(ა) ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღის განმარტება, ფულის ელექტრონული გადარიცხვის სისტემით ანგარიშსწორებული ზოგიერთი ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში შემოდის ახალი გამონაკლისი.

(ბ) განმარტოს და დამატებით უხელმძღვანელოს პირებს იმის დადგენისას, თუ რამდენად აკმაყოფილებს ფინანსური აქტივი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) კრიტერიუმს.

(გ) ახალი განმარტების მოთხოვნის დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო პირობებს შეუძლია ფულად ნაკადებზე ზემოქმედება (მაგალითად, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომელთა მახასიათებლები უკავშირდება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიზნების მიღწევას; და

(დ) განმარტებების განახლება ისეთი კაპიტალის ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI).

ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებათა ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტება“ (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 18, ახალი სტანდარტი ფინანსური ანგარიშგებების წარდგენისა და განმარტების შესახებ, აქცენტით მოგება-ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. ფასს 18 სტანდარტით შემოღებული ძირითადი ახალი ცნებები ეხება შემდეგს:

- მოგება-ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;
- სავალდებულო განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებებში მოგება-ზარალის გარკვეული მაჩვენებლების საზომისათვის, რომლებიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მიღმა (ანუ მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ფინანსური მაჩვენებლები); და
- გაძლიერებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ზოგადად ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებსა და შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩაანაცვლებს სტანდარტს ბასს 1. ამ უკანასკნელში მოცემული მრავალი სხვა პრინციპი შენარჩუნებულია, შეზღუდული ცვლილებებით. ფასს 18 არ იმოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებებში ელემენტების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ შეიძლება შეცვალოს ის, რასაც კომპანია ასახავს როგორც თავის "საოპერაციო მოგებას ან ზარალს". ფასს 18 გამოიყენება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის

შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის და ასევე ვრცელდება შედარებით ინფორმაციაზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19 „შვილობილი კომპანიები საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები“ (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭომ გამოსცა ახალი ფასს ბუღალტრული სტანდარტი შვილობილი კომპანიებისთვის. ფასს 19 უფლებას აძლევს უფლებამოსილ შვილობილ კომპანიებს, გამოიყენონ ფასს ბუღალტრული სტანდარტები ნაკლები განმარტებებით. ფასს 19 სტანდარტის გამოყენება შეამცირებს შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯებს, მაგრამ შეინარჩუნებს ინფორმაციის ღირებულებას ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებისთვის. შვილობილი კომპანიები, რომლებიც იყენებენ ფასს ბუღალტრულ სტანდარტებს საკუთარი ფინანსური ანგარიშგებებისთვის, უზრუნველყოფენ ისეთი განმარტებების გაკეთებას, რომლებიც შეიძლება იყოს მათი მომხმარებლების ინფორმაციის საჭიროებების არაპროპორციული. ფასს 19 გადაწყვეტს ამ გამოწვევებს შემდეგი გზით:

- საშუალებას მისცემს შვილობილ კომპანიებს. შეინახონ ბუღალტრული ანგარიშების მხოლოდ ერთი ნაკრები - როგორც მშობელი კომპანიის, ისე მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- შეამცირებს განმარტებათა გაკეთების ვალდებულებას - ფასს 19 ნებას რთავს პირს, გააკეთოს უფრო მოკლე განმარტებები, რომლებიც უკეთ შეესაბამება მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებებს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 14 „მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები“ (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 14 საშუალებას აძლევს სტანდარტის პირველად დამნერგავ კომპანიებს განაგრძონ ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული თანხების აღიარება მათი წინა საყოველთაოდ აღიარებული ბუღალტრული პრინციპების (GAAP) მოთხოვნების შესაბამისად, როდესაც ფასს ბუღალტრულ სტანდარტებზე გადადიან. თუმცა, მათთან შედარების ხარისხის გასაძლიერებლად, ვინც ფასს სტანდარტებს უკვე იყენებს და ამგვარ თანხებს არ აღიარებს, სტანდარტი მოითხოვს, რომ ტარიფების რეგულირების ეფექტი სხვა ელემენტებისგან ცალკე იყოს წარმოდგენილი. სუბიექტი, რომელიც უკვე ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად, არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ეს სტანდარტი. სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის – ცვლილებები სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სტანდარტების საბჭოს მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ეხება ფასს 10-სა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის არსებულ შეუსაბამობას, რომელიც ეხება აქტივების გაყიდვას ან შეტანას ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილებების ძირითადი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც ტრანზაქცია მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც ტრანზაქცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ შეადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ეს აქტივები ეკუთვნის შვილობილ კომპანიას. 2015 წელს სტანდარტების საბჭომ გადაწყვიტა, ამ ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი უვადოდ გადაედო. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს ბუღალტრული სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1 სტანდარტში განიმარტა, რომ ჰეჯი უნდა შეწყდეს ფასს ბუღალტრულ სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ის არ აკმაყოფილებს ჰეჯის ბუღალტრული აღრიცხვის "კვალიფიცირობის კრიტერიუმებს", და არა "პირობებს". ეს აგვარებს პოტენციურ გაურკვევლობას, რომელიც წარმოიშობა ფასს 1-ში ტერმინოლოგიასა და ფასს 9-ში ჰეჯის ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობისგან. ფასს 7 მოითხოვს განმარტებებს ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტისას მიღებული მოგების ან ზარალის შესახებ, თუ ამ აქტივებში სუბიექტი მუდმივად მონაწილეობს, მათ შორის ინფორმაციას იმის შესახებ, მოიცავდა თუ არა სამართლიანი ღირებულების შეფასება "მნიშვნელოვან არაპირდაპირ ხილულ მონაცემებს". ამ ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა მითითება "მნიშვნელოვან მონაცემებზე,

რომლებიც არ ეყრდნობოდა ბაზრის ხილულ მონაცემებს". აღნიშნული ცვლილებით ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოდის სტანდარტთან ფასს 13.. გარდა ამისა, განიმარტა სტანდარტის ფასს 7 დანერგვის სახელმძღვანელო ნიმუშები და დამატა ტექსტი, რომ ნიმუშები არ ასახავს ფასს 7-ის მითითებული პარაგრაფებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. ფასს 16 სტანდარტის ცვლილება მიზნად ისახავს იმის განმარტებას, რომ როდესაც იჯარის მიმღები ადგენს, რომ იჯარის ვალდებულება ფასს 9 სტანდარტით შეწყდა, იგი ვალდებულია, იხელმძღვანელოს ამავე სტანდარტით და მოგება-ზარალში აღიაროს ამის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი. ეს განმარტება ვრცელდება იჯარის ვალდებულებებზე, რომლებიც შეწყდა იქნა წლიური საანგარიშო პერიოდის დაწყებიდან ან მის შემდეგ, როდესაც სუბიექტმა პირველად გამოიყენა ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის შეუსაბამობის მოგვარების მიზნით, სავაჭრო მოთხოვნები ახლა თავდაპირველად უნდა აღიარდეს "ფასს 15-ის გამოყენებით განსაზღვრული თანხით" და არა "ტრანზაქციის ფასით (როგორც განმარტებულია ფასს 15-ში)". ფასს 10 სტანდარტის ცვლილების მიზანია ნაკლებად კატეგორიული ენის გამოყენება ისე შემთხვევებში, როდესაც სუბიექტი არის "დე-ფაქტო აგენტი" და იმის განმარტება, რომ რომ ფასს 10 სტანდარტის პარაგრაფ B74-ში აღწერილი ურთიერთობა არის მხოლოდ ერთი მაგალითი ისეთი გარემოებისა, სადაც იმის დასადგენად, მოქმედებს თუ არა მხარე როგორც დე-ფაქტო აგენტი, განსჯის გამოყენებაა საჭირო. სტანდარტიდან ბასს 7-დან წაიშალა მითითებები "ღირებულების მეთოდზე", რომელიც ამოღებულ იქნა ფასს ბუღალტრული სტანდარტებიდან 2008 წლის მაისში, როდესაც სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილება "შვილობილ, ერთობლივად კონტროლირებად ან ასოცირებულ სუბიექტში ინვესტიციის ღირებულება". ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კონტრაქტები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას - ცვლილებები სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7 (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან). სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს, უკეთ მოახდინონ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტების ფინანსური ეფექტების ანგარიშგება, რომლებიც ხშირად ითვლება ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებებად (PPAs). მოქმედი ბუღალტრული მოთხოვნები შეიძლება აღეკვატირად ვერ ასახავდეს იმას, თუ როგორ აისახება ეს კონტრაქტები კომპანიის საქმიანობაზე. იმისთვის, რომ კომპანიებმა შეძლონ ამ კონტრაქტების უკეთ ასახვა ფინანსურ ანგარიშგებებში, სტანდარტების საბჭომ მიზნობრივი ცვლილებები შეიტანა სტანდარტებში ფასს 9: *ფინანსური ინსტრუმენტები*, და ფასს 7: *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები*. ცვლილებები მოიცავს: (ა) "ფლობა-გამოყენების" მოთხოვნების გამოყენების განმარტებას; (ბ) ჰეჯის ბუღალტრული აღრიცხვის გარკვეული მოთხოვნების შემსუბუქებას, თუ ეს კონტრაქტები გამოიყენება როგორც ჰეჯის ინსტრუმენტები; და (გ) ახალი განმარტების მოთხოვნების დამატებას, რათა ინვესტირებმა გაიგონ, თუ რა ზეგავლენა აქვს ამ კონტრაქტებს ფინანსურ საქმიანობასა და ფულად ნაკადებზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას ჯგუფი ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, მაშინ, როდესაც მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილი იყო საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებით, იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 12)	6,334	2,581
გაცემული სესხები (შენიშვნა 10)	2,152	5,754
გაუფასურების ანარიცხი გაცემული სესხებისთვის (შენიშვნა 10)	(161)	(222)
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 15)	-	(820)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები * (შენიშვნა 16)	(25,193)	(20,973)
სესხები და ნასესხები სახსრები	(240)	(207)

. *სავაჭრო ვალდებულება მოიცავს ცვლად ქირის ვალდებულებას 23,681 ათასი ლარის ოდენობით (2023: 9,978 ათასი ლარი).

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024	2023
სასტუმრო მომსახურების ამონაგები *	11,350	9,843
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	11,350	9,843
მომსახურების შესყიდვა**	22,571	24,274
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	22,571	24,274
სასტუმროს ხელმძღვანელობს საფასური ****	5,563	4,705
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,563	4,705
საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტიდან მიღებული შემოსულობა	546	146
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	546	146
გაცემული სესხების მოდიფიცირების შედეგად მიღებული ზარალი	(3)	(29)
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(3)	(29)
გაცემული სესხების ნაადრევი დაფარვის შედეგად მიღებული შემოსულობა	1,055	-
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,055	-
საპროცენტო შემოსავალი	3,762	1,218
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	3,762	1,218
საპროცენტო ხარჯი***	75	154

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-40, წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	75	154
ხელფასები და სხვა სარგებელი	634	511
- მთავარი ხელმძღვანელი პირები	634	511

* სასტუმრო მომსახურების ამონაგები ძირითადად შპს „ლიმონი 2009“-ის სტუმრებისთვის მიწოდებულ მომსახურებას წარმოადგენს.

** 2024 და 2023 წლისთვის მომსახურების შესყიდვა ძირითადად მოიცავს ცვლად ქირავნობის ხარჯს 18,550 ათასი ლარის ოდენობით (2023: წელი: 17,836 ათასი ლარი) , აგრეთვე საკონსულტაციო და პროფესიონალურ მომსახურებას.

*** საპროცენტო ხარჯი ძირითადად მოიცავს იჯარით აღებულ ქონებაზე საპროცენტო ხარჯს.

**** სასტუმროს მართვის საფასური გადახდილია შპს Silk Hospitality-სთვის და წარმოადგენს ჯგუფის ამონაგების 1,5%-ს და საოპერაციო მოგების 5%-ს.

8 ძირითადი საშუალებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

ფაიფური, ვერცხლის ჭურჭელი და თეთრეული, რომელიც არ არის დასაწყობებული, ხარჯად აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სასტუმროს საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

სხვა ძირითადი საშუალებების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	5
საიჯარო გაუმჯობესება	7

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, როგორც წესი, უმნიშვნელოა და ითვლება რომ არის ნულის ტოლი. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ყოველი საბალანსო თარიღისთვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) საბაზრო პირობების ცვლილებებისგან წარმოქმნილი ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე გავლენა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იქნებოდა მისი 639 ათასი ლარით ზრდა ან შემცირება 598 ათასი ლარით (2023: 250 ათასი ლარით ზრდა ან შემცირება 437 ათასი ლარით).

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და საიჯარო გაუმჯობესებების საბალანსო ღირებულების მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	ავეჯი და მოწყობილობები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	8,154	28,212	36,366
დაგროვილი ცვეთა	(5,593)	(16,023)	(21,616)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	2,561	12,189	14,750
დამატებები	2,335	3,002	5,337
ცვეთის ხარჯი	(535)	(3,707)	(4,242)
გადატანა - თვითღირებულება *	(240)	240	-
გადატანა - დაგროვილი ცვეთა *	(620)	620	-
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	10,249	31,454	41,703
დაგროვილი ცვეთა	(6,748)	(19,110)	(25,858)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	3,501	12,344	15,845
დამატებები	4,501	6,144	10,645
ცვეთის ხარჯი	(1131)	(4,730)	(5,861)
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	14,750	37,598	52,348
დაგროვილი ცვეთა	(7,879)	(23,840)	(31,719)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	6,871	13,758	20,629

კომპანიის ძირითად საშუალებებში შედის სრულად ცვეთადარიცხული აღჭურვილობა და იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება სულ 14,732 ათასი ლარის ღირებულებით (2023: 13,119 ათასი ლარი).

9 ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები

არსებითი სადრიცხო პოლიტიკა

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც, თავდაპირველი აღიარებისას, თვითონ ითვლება გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის მას შემდეგ, რაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და სავარაუდო ხდება, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება, როდესაც ხდება მათთან დაკავშირებული მომსახურებების მიღება. თუ არსებობს იმის ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ აქტივებს, საქონელს ან მომსახურებას ჯგუფი ვერ მიიღებს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესატყვისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში.

ათასი ქართული ლარი	2024	2023
ქონების მშენებლობაზე გადახდილი ავანსები	8,651	-
სულ ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	8,651	-

მოძრაობა კაპიტალურ ხარჯებში გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

ათასი ქართული ლარი	ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	-	-
დამატებები	9,044	9,044
აღიარების გაუქმება შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღებისას	(393)	(393)
სულ გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბერს	8,651	8,651

10 გაცემული სესხები

არსებითი სადრიცხო პოლიტიკა. ჯგუფი გაცემულ სესხებს ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებს ანიჭებს. გაცემული სესხები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რაც კორექტირდება ოპერაციის ხარჯებისთვის. ჯგუფი იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკას, რათა განისაზღვროს დაკავშირებული მხარეებისთვის იმ სესხების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ ივაჭრება აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების გარეშე.

გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი საპროგნოზო საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გაცემული სესხებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით. ჯგუფი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

გაცემული სესხები, რომლებიც არ არის გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1 ეტაპზე. 1-ლ ეტაპზე არსებულ გაცემულ სესხებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასებული აქვთ იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც გამოწვეულია მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან სახელმწიფო დაფარვის ვადამდე შესაძლო დეფოლტის მოვლენებით, უფრო ხანმოკლე პერიოდის მიხედვით („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის

მნიშვნელოვანი ზრდის არსებობას ("SICR") თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხი გადავა მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოხდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელმძღვანელო დაფარვის ვადამდე, მაგრამ მოსალოდნელი გადახდილი ავანსების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი ანსაზღვრავს, რომ სესხი კრედიტ-გაუფასურებულია, სესხი გადავა მე-3 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ჯგუფი თვლის, რომ გაცემულ სესხებს აღენიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, როდესაც ისინი ვადაგადაცილებულია 30 დღით. იმის შეფასება, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსავლენად გამოყენებული კრიტერიუმები ექვემდებარება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მონიტორინგს და პერიოდულად განხილვას მიზანშეწონილობის მიზნით.

ჯგუფი გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს იყენებს, რაც ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებში ცვლილებებს, ჯგუფის მიერ გამოყენებული ოთხი კომპონენტის საფუძველზე: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის, ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- მსესხებლის სახელმძღვანელო გადახდები 30 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული;
- მსესხებელი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული გადახდის არმოსალოდნელობის კრიტერიუმებს:
 - მსესხებელი გარდაიცვალა
 - მსესხებელი გადახდისუნარიანა;
 - მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი გაკოტრდება.

10 გაცემული სესხები (გაგრძელება)

დეფოლტის რისკი განისაზღვრება გადახდის მოსალოდნელი პროფილის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება პროდუქტის ტიპის მიხედვით. დეფოლტის რისკი ემყარება მსესხებლის გადასახდელ სახელშეკრულებო დაფარვებს 12 თვის ან არსებობის მანძილზე პერიოდის განმავლობაში, პროდუქტების ამორტიზაციისა და სესხებისთვის ერთდროული დაფარვით. ეს ასევე დაკორექტირდება მსესხებლის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოსალოდნელი ზედმეტად გადახდისთვის. ადრეული დაფარვის ან რეფინანსირების დაშვებები ასევე შედის გაანგარიშებაში. რეკლამური პროდუქტებისთვის, დეფოლტის რისკი პროგნოზირებულია მიმდინარე დამტკიცებულ ბალანსზე "საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის" დამატებით, რომელიც ითვალისწინებს დარჩენილი ლიმიტის მოსალოდნელ ათვისებას დეფოლტის დროისთვის. ეს დაშვებები განსხვავდება პროდუქტის ტიპის, მიმდინარე ლიმიტის გამოყენებისა და მსესხებლისთვის სპეციფიკური სხვა ქვევითი მახასიათებლების მიხედვით.

დეფოლტის ალბათობის ორი ტიპი გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად: 12-თვიანი და არსებობის მანძილზე. 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის შეფასება ეფუძნება უახლეს ხელმისაწვდომ ისტორიული დეფოლტის მონაცემებს და კორექტირდება დასაბუთებადი საპროგნოზო ინფორმაციისთვის, საჭიროებისამებრ. არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის შეფასებულ ალბათობას და ის წარმოადგენს 12 თვიანი დეფოლტის ალბათობის ჯამს ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ჯგუფი, გაანგარიშებული დეფოლტის ალბათობებისთვის არსებობის მანძილზე, ისეთ განსხვავებულ სტატისტიკურ მიდგომებს იყენებს სეგმენტიდან და პროდუქტის ტიპიდან გამომდინარე, როგორიცაა 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის ექსტრაპოლაცია, რომელიც დაფუძნებულია მიგრაციის მატრიცებზე, ისტორიული დეფოლტის მონაცემების საფუძველზე - არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის მრუდების შემუშავება.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს კომპანიის ზარალის მოცულობის მოლოდინს დეფოლტის დადგომის შემთხვევაში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში განსხვავდება კონტრაქტის ტიპის, მოთხოვნისა და პრიორიტეტის ტიპის, ასევე უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის მიხედვით. 12 თვიანი და არსებობის მანძილზე ზარალი დეფოლტის შემთხვევაში განისაზღვრება დეფოლტის მოვლენის შემდეგ მოსალოდნელ ამოღებებზე მოქმედ ფაქტორებზე დაყრდნობით. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებისა და სცენარების საფუძველზე.

მოდელირება. ჯგუფი ზოგჯერ ხელახლა აწარმოებს მოლაპარაკებას, ან სხვაგვარად ცვლის გაცემული სესხების სახელშეკრულებო პირობებს. ჯგუფი აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, ვალუტის დენომინაციის ცვლილება, ახალი უზრუნველყოფა, ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვნად აისახება აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვან გახანგრძლივებაზე, მაშინ, როდესაც მსესხებელს არ აქვს ფინანსური სირთულეები.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, უფლებები თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე იწურება და ჯგუფი წყვეტს თავდაპირველი აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს მისი სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ამოღებული თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, არსებითად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაობის არსი მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ ოპერაციას.

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

10 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ათასი ლარი	ვალ უტა	დაფარვის ს ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	2024 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2023 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება
დაკავშირებული მხარეების სესხები	GEL	2030	11% - 13%	353	874
დაკავშირებული მხარეების სესხები	USD	2029-2030	5% - 14%	1,960	4,880
შემცირებული: საკრედიტო ზარალის ანარიცხით				(161)	(222)
				-	-
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხების საბალანსო ღირებულება, სულ				(2,152)	5,532
მოკლევადიანი გრძელვადიანი				- 2,152	- 5,532
სულ				2,152	5,532

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ შეამცირა მის მიერ გაცემული სესხების ნაშთი, იხილეთ შენიშვნა 10.

გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8-14%-ს და სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 26-ე შენიშვნაში.

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

10 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხისა და მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ - გაუფას რებული)	სულ	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ - გაუფას რებული)	სულ
ათასი ლარი								
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4	218	-	222	4,859	895	-	5,754
ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი პერიოდის განმავლობაში ალიარება-შეწყვეტილი დაფარვები	-	-	-	-	-	-	-	-
ცვლილებები	-	18	-	18	(31)	(514)	-	(545)
დარიცხულ პროცენტში სხვა მოძრაობები	1	(76)	0	(75)	646	457	-	1,103
სულ ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე	(3)	(58)	-	(61)	(3,239)	(546)	-	(3,785)
ცვლილებები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვაზე:								
სავალუტო და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	344	-	-	344
2024 წ. 31 დეკემბერს	1	160	-	161	1,964	349	-	2,313

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

9 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხისა და მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებები 2023 წლის დასაწყისსა და ბოლოს შორის:

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ - გაუფას უ რებული)	სულ	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ - გაუფას უ რებული)	სულ
ათასი ლარი								
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7	1,440	-	1,447	6,091	21,600	-	27,691
ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	20	-	20	-	-	-	-
პერიოდის	-	(1,253)	-	(1,253)	-	-	-	-
განმავლობაში აღიარება-შეწყვეტილი	(3)	-	-	(3)	(2,663)	(11,675)	-	(14,338)
დაფარვები								
ცვლილებები	-	11	-	11	64	(8,681)	-	(8,617)
დარიცხულ პროცენტში სხვა მოძრაობები	-	-	-	-	1,414	60	-	1,474
სულ ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის	(3)	(1,222)	-	(1,225)	(1,185)	(20,296)	-	(21,481)
დანახარჯზე								
ცვლილებები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვაზე:								
სავალუტო და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	(46)	(410)	-	(456)
2024 წ. 31 დეკემბერს	4	218	-	222	4,860	894	-	5,754

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ - გაუფას რებული)	სულ	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, SICR- თვის)	ეტაპი 3 (მომსახ ურების ვადის განმავ ლობაში ECL, კრედიტ - გაუფას რებული)	სულ
ათასი ლარი							

პერიოდის განმავლობაში აღიარებული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 24-ე შენიშვნაში. ქვემოთ მოცემულია ცხრილში ასახული ძირითადი ცვლილებების ახსნა:

- დამატებითი ანარიცხი პერიოდის განმავლობაში აღიარებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის
- დისკონტის ჩათვლის თანხა დროის გასვლის გამო, რადგან ECL შეფასებულია დღევანდელი ღირებულების საფუძველზე; და
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების სავალუტო გადაანგარიშება და სხვა ცვლილებები;

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია იმ ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო რისკის ანალიზი, რომელთა მიმართ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარებულია. ქვემოთ მოცემული სესხების საბალანსო ღირებულება ასევე წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ამ სესხებთან მიმართებით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ხარისხი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებულ ი კრედიტი)	სულ
ათასი ლარი			

**დაკავშირებული
მხარეებისთვის გაცემული
სესხები**

- კარგი	1,964	170	-	2,134
- დამაკმაყოფილებელი	-	179	-	179
მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,964	349	-	2,313
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(1)	(160)	-	(161)
საბალანსო ღირებულება	1,963	189	-	2,152

10 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ხარისხი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებულ ი კრედიტი)	სულ
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები				
- კარგი	4,859	737	-	5,596
- დამაკმაყოფილებელი	-	158	-	158
მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,859	895	-	5,754
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(4)	(218)	-	(222)
საბალანსო ღირებულება	4,855	677	-	5,532

საკრედიტო რისკის ძირითადი შკალის თითოეულ კლასს ენიჭება კრედიტუნარიანობის კონკრეტული ხარისხი:

- კარგი – ძლიერი საკრედიტო ხარისხი საშუალო მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- დამაკმაყოფილებელი – ზომიერი საკრედიტო ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით.

არცერთი სესხი არ იყო უზრუნველყოფილი ან ვადაგადაცილებული 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (2023: არცერთი).

11 მარაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საკვები და სასმელი	1,888	1,855
სასტუმროს მომსახურების მასალები	563	529
სპა მომსახურების მასალები	275	264
სხვა	203	263
	2,929	2,911
სულ მარაგები	2,911	2,765

სასტუმროს საოპერაციო ხარჯებში აღიარებული მარაგების მოხმარებამ (შენიშვნა 18) წლის განმავლობაში, გამოყენებული მასალების სახით, შეადგინა 8,482 ათასი ლარი (2023: 7,988 ათასი ლარი).

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, შემცირებული ზარალის ანარიცხით, რომელიც განსაზღვრულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება - ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას ინდივიდუალურად ახორციელებს კონტრაქტის წარსული გადახდის ნიმუშის გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, როგორიცაა მშპ-ს არამდგრადობა და უფრო მასშტაბური ეკონომიკური პირობები, ისტორიული გადახდის ქცევასთან, კლიენტების კრედიტუნარიანობასა და ინდუსტრიის სპეციფიკურ ტენდენციებთან ერთად. ინდივიდუალური შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ხელმძღვანელობის ექსპერტულ შეფასებას, რომელიც რეგულარულად მოწმდება, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებებსა და ფაქტობრივ ზარალს შორის.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნა	2,687	2,449
კაპიტალის გაზრდისთვის აქციონერისგან მისაღები მოთხოვნები	1,950	900
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(500)	(399)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4,137	2,950
გადახდილი ავანსები	3,028	1,951
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნა	7,165	4,901

ჯგუფის საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება აქტივების კლასის მიხედვით აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოძრაობა კაპიტალურ დანახარჯებზე გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულებებში იყო:

ათასი ქართული არი	გადახდილი ავანსი	სულ
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	1,951	1,951
დამატებები	28,549	28,549
აღიარება შეწყვეტილია შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღებისას	(27,472)	(27,472)
სულ გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბერს	3,028	3,028

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	45	64
ვადიანი დეპოზიტები სამ თვემდე თავდაპირველი დაფარვის ვადით	-	4,303
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	8,052	6,397
სულ	8,097	10,764

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია 1 ეტაპზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრისთვის არის ნული (2023: ნული).

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც აქვთ საკრედიტო რეიტინგი „BB“ Fitch Rating-ის მიხედვით.

ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს, დენომინირებული იყო:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი	6,410	7,338
ქართული ლარი	1,678	2,919
სხვა	9	507
სულ	8,097	10,764

14 საწესდებო კაპიტალი

არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში. ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი. დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას სააქციო კაპიტალის დარეგისტრირებულ ოდენობასა და მიღებული ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის.

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა მფლობელებისათვის 422 ათასი ლარის ოდენობით (2023: ნული ლარი).

2022 წელს დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი გაიზარდა 8,883 ათასი ლარით, საიდანაც 7,983 ათასი მიღებული იქნა 2022 წლის განმავლობაში, დარჩენილი 900 ათასი ლარი კი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი იყო.

2023 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას გაცემული ჰქონდა სესხი CFL-სთვის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) სულ 8,750 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (ძირი 5,169 ათასი აშშ დოლარი და პროცენტი 3,580 ათასი აშშ დოლარი). 2023 წლის 2 ივნისს კომპანიამ სრულად გადაიტანა თავისი გაცემული სესხი CFL-დან Silk Road Group Holdings-ზე (SRGH), რაც შემდგომში, 2023 წლის 28 ივნისს გადაეცა შპს Silk Real Estate-ს, 8,787 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (ძირი 5,169 ათასი აშშ დოლარი და პროცენტი 3,617 ათასი აშშ დოლარი).

2023 წლის 28 ივნისს შპს Silk Real Estate-მა გადაწყვიტა, შეემცირებინა კომპანიის კაპიტალი 20,941 ათასი ლარით, რამაც გამოიწვია კომპანიის საწესდებო კაპიტალისა და დამატებითი სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალის კაპიტალის ნულამდე შემცირება, ხოლო დარჩენილი 854 ათასი ლარი აღირიცხა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში, როგორც კომპანიის მფლობელთან განხორციელებული ოპერაციის ეფექტი.

2024 წელს დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი კიდევ ერთხელ გაიზარდა, ამჯერად - 5,000 ათასი აშშ დოლარით. აქედან 1,050 ათასი ლარი დაემატა დასაფარ მოთხოვნებს და ეს უკანასკნელი 900 ათასი ლარიდან 1,950 ათას ლარამდე გაიზარდა.

15 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ჯგუფის ვალდებულებების მოძრაობის ანალიზი ყოველი წარდგენილი პერიოდისთვის. აღნიშნული ვალდებულებების მუხლებია, რომლებიც ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსური საქმიანობის ნაწილში:

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები
ფინანსური საქმიანობის ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვარს	194	1,175
ფულადი ნაკადები, გადახდილი პროცენტის გარდა	-	(308)
პროცენტის დარიცხვა	34	120
პროცენტის გადახდები	-	(92)
იჯარის მოდიფიკაციისა და აღიარების შეწყვეტის გავლენა*	-	(75)
სავალუტო ზარალი	(21)	-
ფინანსური საქმიანობის ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვარს	207	820
ფულადი ნაკადები, გადახდილი პროცენტის გარდა	-	(238)
პროცენტის დარიცხვა	33	41
პროცენტის გადახდები	-	(37)
იჯარის მოდიფიკაციისა და აღიარების შეწყვეტის გავლენა*	-	(586)
ფინანსური საქმიანობის ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბერს	240	-

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

არსებითი სადარიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გატარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	26,455	20,479
დარიცხული ვალდებულებები	749	828
გადასახდელი დივიდენდები	511	587
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,715	21,894
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		
მიღებული ავანსები	436	145
დარიცხული თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	175	161
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	28,326	22,200

2,064 ათასი ლარის ოდენობის (2023 წელი: 1,417 ათასი ლარი) სავაჭრო ვალდებულებები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ფულადი ფინანსური ვალდებულებების სავალუტო რისკის ზემოქმედების ანალიზისთვის იხილეთ შენიშვნა 26.

17 სასტუმრო მომსახურების ამონაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს ოთახის და საკონფერენციო დარბაზის დაქირავებას, საკვებს და სასმელს და სპა მომსახურებას. შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს და ფასდათმობების გარეშე.

ამონაგები ოთახებიდან და საკონფერენციო დარბაზიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, ოთახების გაქირავებიდან მიღებული ამონაგების შემთხვევაში სტუმრების განთავსების დასრულებული დამეების რაოდენობის მიხედვით, ხოლო საკონფერენციო დარბაზის ამონაგების შემთხვევაში-საკონფერენციო დარბაზების დაქირავების პერიოდის მიხედვით. ჯგუფს აქვს სტანდარტული და სპეციალური ტარიფები ოთახისა და საკონფერენციო დარბაზის გაქირავებისთვის. სპეციალური ტარიფები შეიძლება შეთავაზებული იყოს გაყიდვებისა და ჯავშნების დეპარტამენტების მიერ სპეციალური სტუმრებისთვის, კორპორაციული კლიენტებისთვის და ჯგუფებისთვის, ან სხვა სარეკლამო აქტივობების ფარგლებში.

საკვებისა და სასმელების გაყიდვებისთვის, ამონაგების აღიარება ჩვეულებრივ ხდება მომხმარებლის მიერ პროდუქტის მიღებისას დროის გარკვეულ მომენტში, იმ ფასის შესაბამისი თანხით, რომელიც შეყვანილია საოპერაციო სისტემაში.

ამონაგები სპა და სხვა მომსახურების გაწევიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენებული მომსახურების პერიოდის საფუძველზე.

დაფინანსების კომპონენტები. ჯგუფი კორპორაციულ მომხმარებლებს სთავაზობს საკრედიტო პირობებს, მაქსიმალური 30 დღიანი ვადით. ინდივიდუალური კლიენტები ავანსად გადახდას ან ანგარიშგაქტურის ანგარიშსწორებას ახორციელებენ პროდუქტისა და მომსახურების მიღებისთანავე. შედეგად, ჯგუფი არ აკორექტირებს არც ერთი ოპერაციის ფასს ფულის დროითი ღირებულებისთვის.

ჯგუფი ამონაგებს აწარმოებს დროთა განმავლობაში და დროის გარკვეულ მომენტში პროდუქციის და მომსახურების გადაცემიდან შემდეგ ძირითად პროდუქციის ხაზებში:

ათასი ლარი	2024	2023
ამონაგები ოთახებიდან და საკონფერენციო დარბაზიდან	36,541	35,266
საკვების და სასმელის გაყიდვა	28,386	27,524
ამონაგები სპა-დან	3,199	3,016
სხვა	3,202	2,788
სულ სასტუმრო მომსახურების ამონაგები	71,328	68,594

ამონაგების აღიარების დრო შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
დროის გარკვეულ მომენტში	28,386	27,524
დროთა განმავლობაში	42,942	41,070
სულ ამონაგები	71,328	68,594

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

17 სასტუმრო მომსახურების ამონაგები (გაგრძელება)

სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილმდებარეობებიდან წარმოქმნილი ამონაგები შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
თბილისის სასტუმროს მომსახურების ამონაგები	47,842	49,229
ბათუმის სასტუმროს მომსახურების ამონაგები	23,486	19,365
სულ ამონაგები	71,328	68,594

18 სასტუმროს საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2024	2023
გამოყენებული მასალები	8,482	7,988
სასტუმროს მართვის საფასური*	4,553	3,862
კომუნალურები	3,136	3,103
მარაგები	2,939	2,980
პროფესიული მომსახურების საფასური	2,927	3,129
საბანკო და სხვა საკომისიო	2,455	1,996
როიალტის საფასური	2,034	1,972
რემონტი და მოვლა-შენახვა	1,547	1,334
მარკეტინგის საფასური	1,066	1,012
მედია და სარეკლამო ხარჯები	963	580
უსაფრთხოების ხარჯი	728	521
ტრანსპორტირების ხარჯი	273	219
მენარდეს საფასური	235	1,027
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	200	243
სხვა ხარჯები	2,279	2,134
სულ სასტუმროს საოპერაციო ხარჯები	33,817	32,100

* სასტუმროს ოპერაციების მართვისთვის ჯგუფი ყოველწლიურად უხდის მართვის საფასურს Rezidor Hotels U.K Limited-ს. ეს შეიცვალა 2021 წელს, მართვის საფასურს ახლა იღებს შპს Silk Hospitality და სასტუმრო Rezidor იღებს მხოლოდ როიალტის საფასურს (ოთახის შემოსავლის 5%) და მარკეტინგის მომსახურების საფასურს (ოთახის შემოსავლის 2.5%). შპს Silk Hospitality-სთვის გადასახდელი საფასური ცვალებადია და განისაზღვრება სასტუმროს საოპერაციო შედეგების მიხედვით (ამონაგების 1.5% და სასტუმროს მიერ გამოქვეყნებული საოპერაციო მოგების 5%).

პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 238 ათას ლარს (2023: 227 ათასი ლარი) - საფასური აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

19 ცვლადი ქირავნობის ხარჯი

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ცვლადი ქირავნობის ხარჯი. ჯგუფი იჯარით იღებს სასტუმროს შენობას. ხელშეკრულება შეიცავს როგორც საიჯარო, ასევე არასაიჯარო კომპონენტებს. ცვლადი იჯარის გადახდები აღიარებულია ხარჯად წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ზოგიერთი საკუთრების იჯარა შეიცავს ცვლად გადახდის პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია ამონაგებთან. გადახდის ცვლადი პირობები გამოიყენება სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის ფიქსირებული ხარჯების ბაზის მინიმუმაციისთვის. ცვლადი იჯარის გადასახადები, რომლებიც დამოკიდებულია ამონაგებზე, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ადგილი აქვს ამ გადახდების გამომწვევ გარემოებას.

ცვლად საიჯარო გადასახდელებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც არ შედის საიჯარო ვალდებულებებში. ცვლადი იჯარის ხარჯი 2024 წლისთვის იყო 18,550 ათასი ლარი (2023: 17,836 ათასი ლარი).

20 ფინანსური შემოსავალი

ათასი ლარი	2024	2023
წმინდა სავალუტო მოგება	217	-
შემოსულობა იჯარის ვალდებულების მოდიფიკაციაზე	546	146
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	467	284
საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე	534	1,324
გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	77	1,253
აღიარებაშეწყვეტილი ანარიცხი		
წმინდა შემოსულობა გაცემული სესხების ნაადრევი დაფარვიდან	1,055	1,266
სხვა ფინანსური შემოსულობა	327	-
ფინანსური შემოსავალი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში	3,223	4,273

21 ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2024	2023
წმინდა სავალუტო ზარალი	-	(721)
ზარალი გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარებისას	-	-
ზარალი გაცემული სესხების მოდიფიცირებისას	(17)	(29)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	(34)	(34)
საპროცენტო ხარჯი საჯარო ვალდებულებებზე	(41)	(120)
სულ ფინანსური ხარჯები, რომლებიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში	(92)	(904)

22 მოგების გადასახადი

არსებითი სადრიცხო პოლიტიკა

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იმავე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის სამართლიანი თარიღისა და პერიოდისა, როდესაც დივიდენდის გადახდა მოხდა. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შედავითიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო ჩათვლებით, შედავითიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების შესაძლებლობის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, აღირიცხება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა, საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ზოგჯერ შეიძლება მიღებულ იქნას პრეტენზიები ჯგუფის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების და ორივე, შიდა და გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე, მიაჩნია, რომ პრეტენზიებთან დაკავშირებით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი ზარალი რომელიც გადააჭარბებს ანარიცხებს, რომლებიც შექმნილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებით, ოფიციალური დოკუმენტების გამოცემით და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო და ექვემდებარება მრავალგვარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. საგადასახადოების მიმოხილვასა და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მიერ შესაძლებელია შემოწმდეს სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი - უფრო დიდი ხნის მანძილზეც. ამ პირობებიდან გამომდინარე საქართველოში შეიძლება წარმოიქმნას ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა საგადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

ვალდებულებები. 2019 წლის 30 იანვარს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა სს „New Hotel“, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“, შპს Argo Management, შპს Limoni Real Estate და შპს Medea Operating Company, გააფორმეს საკრედიტო ხაზის გენერალური ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან. ხელშეკრულების თანახმად, თითოეული საწარმოო ხდება სოლიდარულად ვალდებული ამ საკრედიტო ხაზის გენერალური ხელშეკრულების მიხედვით გაცემული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტისთვის, იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო პირობების შესრულება იმ საწარმოს მიერ, რომელმაც თავდაპირველად მიიღო ეს კრედიტი, ვერ მოხერხდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს Medea Operating Company-ს აქვს 13,369 ათასი ლარის და 5,000 ევროს (2023: 14,071 ათასი ლარი) ოდენობის დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს New Hotel-ს აქვს 9,466 ათასი ლარის, 711 ათასი აშშ დოლარის და 5,803 ათასი ევროს ოდენობის დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი (2023: 9,963 ათასი ლარი, 752 ათასი აშშ დოლარი და 11,983 ათასი ევრო).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს Limoni Real Estate-ს არ აქვს დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი (2023: 39,361 ათასი ლარი).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს Silk Real Estate-ს გამოშვებული ჰქონდა ობლიგაციები 40,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, ორი 20,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ტრანშით. პირველი ტრანში გამოიცა 2023 წლის აპრილში სამი წლით წლიური 9.00% (ბრუტო) კუპონით. მეორე ტრანში გაიცა გამოვიდა წლის სექტემბერში წლიური 9.25% კუპონით. 2024 წლის აგვისტოში შპს Silk Real Estate-მა გამოუშვა 7,000 ათასი ევროს ოდენობის ტრანში, ერთი წლით, წლიური 7% კუპონით. კომპანია არის შპს Silk Real Estate-ის დავალიანების გარანტორი.

გარანტირებული სესხებითა და მშობელი საწარმოს ობლიგაციების ვალდებულებებით დაკავშირებული მხარეების საკრედიტო ხარისხის ინფორმაციის შეფასებისას, როგორიცაა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, ხელმძღვანელობა თვლის, რომ

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები და კომპანიის 100%-იანი წილი დაგირავებული იყო როგორც უზრუნველყოფა სს თიბისი ბანკიდან ნასესხები სახსრებისთვის.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა სახელმეკრულებო კაპიტალური ხარჯების ვალდებულება ძირითად საშუალებებთან ან არამატერიალურ აქტივებთან მიმართებით (2023: ნული).

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებებზე, კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე მომავალი ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

24 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან (საკრედიტო საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის ზემოქმედება წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საკრედიტო პირობებით მომსახურების გაყიდვის შედეგად და კონტრაქტებთან სხვა ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდულების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებისა და დროის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული კოეფიციენტებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის პარტნიორებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების მონიტორინგი ხორციელდება და ექვემდებარება პერიოდულად გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაანალიზდება და მტკიცდება. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მონიტორინგის მიზნით, რეგულარული ანგარიშები მზადდება სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კლიენტის ფინანსურ მაჩვენებლებზე. კრედიტუნარიანობის გაუარესებული მაჩვენებლის მქონე კლიენტებთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება ეცნობება და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაქტების შესრულების შედეგებს და აკვირდება ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას. ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს და საკრედიტო რისკის კონცენტრაციას შენიშვნებში განმარტავს ისეთი მოხსენებების მოპოვების საფუძველზე, სადაც ჩამოთვლილია კონტრაქტების რისკებისადმი დაქვემდებარება, რომელთა აგრეგირებული ნაშთები აღემატება ჯგუფის წმინდა აქტივების 10%-ს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. 2024 წლის 31 დეკემბერს ჯგუფს არ ჰყავდა კონტრაქტები (2023 წლის 31 დეკემბერი: არცერთი) აგრეგირებული მოთხოვნების ნაშთებით, რომელიც აღემატება ჯგუფის წმინდა აქტივების 10%-ს.

გაცემული სესხები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰყავდა კონტრაქტები (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი დაკავშირებული მხარე), რომელთანაც გაცემული სესხების ნაშთი კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ს აღემატება. ნაშთების ჯამური მოცულობა იყო 2,152 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 5,532 ათასი ლარი) ან გაცემული სესხების მთლიანი თანხის 99% (2023 წლის 31 დეკემბერი: 88%).

ჯგუფის საბანკო დეპოზიტები განთავსებულია მხოლოდ ორ ბანკში (2021 წლის 31 დეკემბერი: ორი ბანკი), რითაც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის შეზღუდულ კონცენტრაციას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება.

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის.

ჯგუფი ECL-ის შესაფასებლად ორ მიდგომას იყენებს: (i) სავაჭრო მოთხოვნების ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასება (შენიშვნა 12); (ii) გაცემული სესხებისთვის (შენიშვნა 10) ხელმძღვანელობა იყენებს პორტფელის საფუძველზე შეფასებას.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ ინვესტიციებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. ჯგუფი ექვემდებარება გავრცელებული ვალუტის კურსის რყევების ზემოქმედებას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში ადგენს რისკის ზღვრულ დონეს. პოზიციები მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საბალანსო თარიღისთვის:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
<i>ათასი ლარი</i>						
ქართული ლარი	9,650	(30,227)	(20,578)	7,471	(21,700)	(14,229)
აშშ დოლარი	9,036	(1,228)	7,808	12,160	(998)	11,162
ევრო	122	(38)	84	316	(472)	(156)
სულ	18,808	(31,494)	(12,686)	19,947	(23,170)	(3,223)

ზემოთხსენებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ ინვესტიციები კაპიტალში და არაფულად აქტივებში სავალუტო რისკის არსებით ზრდას არ გამოიწვევს.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს კაპიტალისა და მოგების ან ზარალის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების შესაძლო ცვალებადობის მიმართ, რომლებიც გამოყენებულია საბალანსო თარიღისთვის ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან დაკავშირებით, ყველა სხვა ცვლადების უცვლელად დარჩენის შემთხვევაში:

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	781	1,116
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(781)	(1,116)

რისკისადმი დაქვემდებარება გამოთვლილია მხოლოდ ჯგუფის შესაბამისი საწარმოს სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ნაშთებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხა საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

ათასი ლარი	მოთხოვნა 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	18,262	-	-	2,152	20,414
სულ ფინანსური ვალდებულებები	(31,565)	-	-	-	(31,565)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბერს	(13,303)	-	-	2,152	(11,151)
2023 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	15,665	-	-	5,532	21,197
სულ ფინანსური ვალდებულებები	(22,509)	(512)	(207)	-	(23,228)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბერს	(6,844)	(512)	(207)	5,532	(2,031)

ლიკვიდობის რისკი. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ არის ის, რომ უზრუნველყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა თავისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ვადის დადგომისას, როგორც ნორმალურ, ისე დაძაბულ პირობებში, მიუღებელი ზარალის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკრედიტო საშუალებების ადეკვატური ოდენობის მეშვეობით. ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებებისა და მოკლევადიანი აქტივების უმეტესი ნაწილი განპირობებულია დაკავშირებული მხარეების მიერ და ამიტომ ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს უზრუნველყოფს ჯგუფის საკმარის მოქნილობას გადახდებისა და მიღებული ფულადი სახსრების ვადებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა სამომავლოდ ბიზნესის ადეკვატური ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად.

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	შენიშვნა	მოთხოვნა 1 წლამდე	1-2 წელი	2-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16	31,204	-	-	-	31,204
სესხები და ნასესხები		240	-	-	-	240
საქსრები		-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები		-	-	-	-	-
დაკავშირებული მხარეების გარანტირებული ნასესხები საქსრები		-	-	-	56,491	56,491
მშობლის ობლიგაციების ვალდებულებები		21,950	-	112,272	-	134,222
სულ სამომავლო გადახდები		53,394	-	112,272	56,491	222,157

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	შენიშვნა	მოთხოვნა 1 წლამდე	1-2 წელი	2-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	6	22,143	-	-	-	22,389
სესხები და ნასესხები		-	-	207	-	206
საქსრები		308	512	-	-	820
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების გარანტირებული ნასესხები საქსრები		-	-	-	61,709	61,709
მშობლის ობლიგაციების ვალდებულებები		-	-	103,500	-	103,500
სულ სამომავლო გადახდები		22,451	512	103,707	61,709	188,624

25 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მესაკუთრეებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, ჯგუფმა, შეიძლება შეცვალოს მესაკუთრეებისთვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება მესაკუთრეს დაუბრუნოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა იყო 22,484 ათასი ლარი (2023 : 17,875 ათასი ლარი).

26 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა ილენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვიდით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. იმ აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბ. ღირ-ება	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბ. ღირ-ება
აქტივები								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45	8,052	-	8,097	64	10,700	-	10,764
- გაცემული სესხები	-	2,152	-	2,152	-	5,532	-	5,532
- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	6,489	-	6,489	-	3,651	-	3,651
სულ ფინანსური აქტივები	45	16,693	-	16,738	64	19,883	-	19,947
ვალდებულებები								
- ნასესხები სახსრები	-	240	-	240	-	207	-	207
- სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	31,253	-	31,253	-	22,186	-	22,186
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	31,493	-	31,493	-	22,393	-	22,393

27 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2024 წლის 31 დეკემბრიდან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე რაიმე ისეთ მოვლენას, რაც შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.

შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“
მმართველობის ანგარიში
საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა 2024

1. პირის ბიზნესის განვითარება, შესრულება და მდგომარეობა

შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 9 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, თბილისში მდებარე სასტუმრო Radisson Blu-ს (თბილისის სასტუმრო) ოპერირება. 2021 წლის 2 აპრილს სასტუმროს მართვის საერთაშორისო ხელშეკრულება გაფორმდა შპს Silk Hospitality-სთან, დაკავშირებულ მხარესთან, რომელმაც შეცვალა შპს Rezidor Hotels UK, როგორც სასტუმროს ოპერატორი, საკომისიოებით, რომელიც შედგება კომპანიის მიერ გამომუშავებული ამონაგების 1,5%-ისა და საოპერაციო მოგების 5%-ისგან. ახალი ხელშეკრულების თანახმად, შპს Rezidor Hotels UK კომპანიისთვის ახორციელებს მარკეტინგულ მომსახურებას და შესრულების ხარისხის პერიოდულ შემოწმებას.

„ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტის“ 100%-იანი შვილობილი საწარმო, შპს „არგო მენეჯმენტი“ (შემდგომში ერთობლივად მოხსენებული როგორც „ჯგუფი“), დაარსდა 2010 წლის 30 ნოემბერს საქართველოში. 2011 წელს შპს „არგო მენეჯმენტმა“ გააფორმა გრძელვადიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება შპს „Medea Operating Company“-თან, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან, იჯარით აიღო სასტუმროს შენობა, რომელიც მდებარეობს ბათუმში, საქართველოში და გააფორმა მართვის ხელშეკრულება Rezidor Hotels U.K. Limited-თან, რომელიც პასუხისმგებელია Radisson Blu Batumi-ს (ბათუმის სასტუმრო) ბრენდის ქვეშ სასტუმროს ყოველდღიურ ოპერირებაზე. სასტუმრო ფუნქციონირებს 2011 წლის ივლისიდან.

2021 წლის 27 იანვარს ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებას Rezidor Hotels U.K. Limited-თან, რომლის მიხედვითაც Rezidor აღარ იქნება პასუხისმგებელი სასტუმროს ოპერირებაზე, და მხოლოდ მარკეტინგის მომსახურებას და პერიოდულ შესრულების ხარისხის ინსპექტირებას განახორციელებს. მართვის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა დაკავშირებულ მხარესთან, შპს Silk Hospitality. ხელშეკრულების თანახმად, შპს Silk Hospitality მართავს სასტუმროს ოპერაციებს და იღებს შპს არგო მენეჯმენტის მიერ გამომუშავებული ამონაგების 1,5%-ს და საოპერაციო მოგების 5%-ს, მომსახურების საფასურის სახით.

2024 წელს ჯგუფმა დააფიქსირა 71,328 ათასი ლარის ოდენობის ამონაგები, რაც დაახლოებით 4%-ით ნაკლებია 2023 წლის 68,594 ათასი ლარის ოდენობის ამონაგებზე. საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, მთლიანი ამონაგების 51% მოდის ოთახებისა და საკონფერენციო დარბაზის გაქირავებაზე, 40% საკვებისა და სასმელების გაყიდვებზე და დარჩენილი 9% არის სხვა ამონაგები. 2024 ფინანსური წლის მოგებამ შეადგინა 1,195 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლისთვის - 5,178 ათასი ლარი.

2. ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმები

2024 წელს ჯგუფი ძირითადად ორიენტირებული იქნება გაყიდვების გაზრდაზე და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა, განვითარების სხვა კონკრეტული გეგმები შემუშავებული არ არის.

3. ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2024 და 2023 წლებში ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე სახის კვლევისა და განვითარების საქმიანობაში.

4. ინფორმაცია პირის ფილიალების შესახებ

ჯგუფს არ აქვს ფილიალები.

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

	ლარი 000'	2024	2023	პროგრესის განმარტება
1	ამონაგები	71,328	68,594	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
2	შედგები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,839)	1,809	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
3	საოპერაციო მოგება %	-2.6%	2.6%	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
4	REVPAR**	249	237	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა
5	AHR***	372	356	საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა

* ამონაგები პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე

** ნომრის საშუალო ღირებულება

*** ოთახის საშუალო განაკვეთი

მთავარი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი:

	2024	2023
დაკავებულობის %	67.5%	66.5%

- (i) თანამშრომლებთან ურთიერთობა. ჯგუფში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა 520-530-ის ფარგლებშია. ჯგუფს აქვს კარგად სტრუქტურირებული დაქირავების პოლიტიკა და ქირაობს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების და უნარების მქონე კანდიდატებს.
- (ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. ჯგუფმა ძლიერი პროფესიული ურთიერთობა დაამყარა მომხმარებლებთან მათზე ზრუნვის, ერთგულების და ხარისხიანი მომსახურების დემონსტრირების გზით.
- (iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. ჯგუფის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება დაკომპლექტებულია საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ხანგრძლივი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან გადასახადებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტრენინგებს, რომლებსაც საქართველოში ატარებენ უმაღლესი კატეგორიის აუდიტორული კომპანიები, რათა თვალყური ადევნონ საგადასახადო კანონმდებლობას, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფზე.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 და 2023 წლებში ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენას ადგილი არ ჰქონია.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

- ჯგუფის წამყვანი პოზიცია ბაზარზე და ძლიერი ფინანსური მაჩვენებლები განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით:
 - მომსახურება და მომხმარებელთა კმაყოფილება – როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფის ხელმძღვანელობა საკმარის ყურადღებას უთმობს თანამშრომლების კვალიფიკაციას, რომლებიც კარგად მომზადებული პროფესიონალები არიან;
 - თბილისის სასტუმროს მართვა - სასტუმროს მმართველობას ინდუსტრიაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება აქვს და ისინი 100%-ით არიან ჩართულნი ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც იძლევა ბიზნესში ცვლილებების თვალყურის მიდევნების და მათ მიმართ მოქნილობის საშუალებას;
 - ბრენდის სიძლიერე და რეპუტაცია – ჯგუფმა მოახერხა ქართულ ბაზარზე ძლიერი ბრენდის სახელის შენარჩუნება, რომელიც აღიქმება ხარისხის, პროფესიონალიზმისა და სათანადო ზრუნვის სინონიმად.

- სასტუმროს ქირის საფასური გამოითვლება როგორც იმ მთლიანი ამონაგების წილი (26% და 26% თბილისის სასტუმროსა და ბათუმის სასტუმროსათვის, შესაბამისად)
- სასტუმროს ოპერაციების მართვის მიზნით ჯგუფში შემავალი პირები ყოველწლიურად უხდიან მართვის საფასურს შპს „სილქ ჰოსპიტალიტის“. მართვის საფასური ცვლადია და დგინდება სასტუმროს საოპერაციო შედეგების მიხედვით. 2024 წელს მართვის საფასურმა შეადგინა 5,563 ათასი ლარი.

8. პირის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი. ჯგუფის გაყიდვების უმეტესი ნაწილი ხორციელდება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების სახით, მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებამდე; შესაბამისად, ჯგუფს არ აქვს მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისა და იჯარის საფასურის გადახდის შედეგად. ეს არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს შეექმნას სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მათი ვადის დადგომისას. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ არის ის, რომ უზრუნველყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა თავისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, როგორც ნორმალურ, ისე დაძაბულ პირობებში, მიუღებელი ზარალის ან რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკრედიტო საშუალებების ადეკვატური ოდენობის მეშვეობით. ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებებისა და მოკლევადიანი აქტივების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება დაკავშირებულ მხარეებს და ამიტომ ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს უზრუნველყოფს ჯგუფის საკმარის მოქნილობას გადახდებისა და მიღებული ფულადი სახსრების ვადებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა სამომავლოდ ბიზნესის ადეკვატური ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად.

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღების პროცესში შეფერხებები არ არსებობს.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა დაკავშირებულია შემდეგთან:

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

ჯგუფი ექვემდებარება უცხოური ვალუტის გავრცელებული კურსის რყევების ზემოქმედებას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონეზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება.

პოლიტიკური რისკები. არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, ამონაგებზე და მომგებიანობაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს პოტენციური განვითარება და პოტენციური საფრთხეები, იმისათვის, რომ შესაბამისად იმოქმედოს.

სტუმრის ქცევა. სარჩელები იმ ადამიანებისგან, რომლებიც დაშავდნენ, ან დაზიანდნენ სასტუმროს ოთახებში, შეიძლება დიდ რისკს წარმოადგენდეს სასტუმროს ბიზნესისთვის. სასტუმროს გააჩნია შიდა კონტროლი, რათა გაუმკლავდეს სტუმრებისთვის ზიანის მიყენებას და უზრუნველყოს ტურისტების უსაფრთხოება მათი სასტუმროში ყოფნის განმავლობაში.

მონაცემთა კონფიდენციალურობის რისკი. სასტუმრო მათი სტუმრების შესახებ საკმაოდ დიდი რაოდენობის ინფორმაციას აგროვებს (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია და ა.შ.), რაც სასტუმროს ბიზნესს პოპულარულ სამიზნეებად აქცევს კიბერ კრიმინალებსა და ჰაკერებს შორის. ჯგუფში შემავალი პირები იყენებენ ციფრულ სისტემას ამოცანების ავტომატიზაციისა და მათი მონაცემების სამართავად, რაც ამცირებს სისტემის გატეხვის პოტენციურ რისკს.

ჯგუფი ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები– 2024 წლის 31 დეკემბერი

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) პროცენტიან აქტივებთან და ვალდებულებებთან (გ) წილობრივ ინვესტიციებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი.

ლევან გაჩეჩილაძე

დირექტორი

2025 წლის 30 აპრილი